გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№22 (1048) 27 თებერვალი - 1 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ბრიუსელში პრემიერის ვიზიტის დეტალები



გვ. 2

# ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ჯავახიშვილთან



რა დარღვევები აღმოაჩინა ჩაშლილ ტენდერებში, რას სთხოვს ტენდერში მონაწილე კომპანიების დაშინებულ წარმომადგენლებს და როგორ აფასებს თანამდებობის პირთა დაპატიმრებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე

„მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იქნება კანონი და ტენდერების ჩატარების წესი, თუ ტენდერში მონაწილე კომპანიებს აშანტაჟებენ!"

„თუ სერიოზული დარღვევები გამოვლინდა, ხელშეუხებელი არავინაა, მათ შორის, არც შავლიაშვილი და არც ჯავახიშვილი!"

გვ. 6-7

## ნაციონალები ახალ 15 ნოემბერს აანონსებენ



გვ. 3

„ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს"



გვ. 10

## 2014 — კატასტროფული წელი — Amnesty International-ის სკანდალური ანგარიში

არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მთავრობები მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას ვერ ახერხებენ

## კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის „ლეიბორისტული" რეცეპტი

**გიორგი გუგავა:** „ერთი მილიარდი ასესხოს ივანიშვილმა სახელმწიფოს და ლარი დასტაბილურდება"

გვ. 4

## ორნელა მუტის პუტინთან ვახშამი 30 ათასი ევრო დაუჯდა



გვ. 10

ჯანმრთელობის ყალბი ცნობა და სასამართლო პროცესი სპექტაკლის გაცდენის გამო

უნიკალური შეთავაზება ლარის გაუფასურებით დაზარალებულ მომხმარებელს

გვ. 9

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

## მამა-შვილის დაპირისპირება ზონაზე

რატომ არ შეუშვა აზერბაიჯანელმა მაგამედამ მამა თავის კამერაში და როგორ გაათავისუფლა ბარიგობისთვის სასჯელმისჯილმა შვილი ციხიდან



გვ. 8

გვ. 5

თიბისი ბანკი
TBC BANK

საკრედიტო ბარათი საუკეთესო პირობებით

# „საქართველოს აქვს მტკიცე მხარდაჭერა ევროკავშირისგან“



## ბრიუსელში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის დეტალები

**„ბრიუსელში გამართულმა შეხვედრებმა დაადასტურა, რომ საქართველოს აქვს მტკიცე მხარდაჭერა ევროსაბჭოსგან, ევროკომისიისგან, ევროკავშირისგან და მათი მოლოდინი არის ის, რომ საქართველო იყოს წარმატების მაგალითი რეგიონში“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ბრიუსელში ვიზიტი შეაჯამა და მას წარმატებული უწოდა: **„მქონდა ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები ევროკომისიის პრეზიდენტთან, ევროსაბჭოს პრეზიდენტთან. ჩვენ განვიხილეთ ორმხრივი ურთიერთობების საკითხები, მთავარი თემა იყო რიგის სამიტი და მოსალოდნელი შედეგები. შეხვედრებმა დაადასტურა, რომ საქართველოს აქვს მტკიცე მხარდაჭერა. ჩვენ გვაქვს მოტივაცია და ამბიცია, რომ საქართველო მართლაც გახდეს წარმატების მაგალითი მთელი რეგიონისთვის. ჩვენი წარმატება იქნება ევროკავშირის წარმატებაც“.**

მისივე თქმით, არის მოლოდინი, რომ რიგის სამიტზე საქართველომ პოზიტიური შეფასება მიიღოს და მიეცეს უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა: **„არ მინდა, დავასწრო მოვლენებს, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, წარმატებით დავხურეთ პირველი ფაზა და მალე დავხურავთ მეორე ფაზას. ასევე მქონდა შეხვედრა ევროპარლამენტში. ვისაუბრეთ რეგიონში არსებულ ვითარებაზე, შევაფასეთ რისკები და მოვისმინე მათი შეფასებები. მინდა გითხრათ, რომ გვაქვს სრული მხარდაჭერა. ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ, მთავარია, ვაჩვენოთ ჩვენი ერთობა, კონსოლიდაცია“.**

პრემიერ-მინისტრმა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოში მოიწვია. როგორც ღარიბაშვილმა ბროკთან შეხვედრისას განაცხადა, ეს ვიზიტი იქნებოდა კარგი შესაძლებლობა იმის დასადასტურებლად, რა მიღწევები აქვს საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე და ევროკავშირთან ურთიერთობაში. მხარეებმა ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელებაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ევროპარლამენტის მიერ ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც პრემიერ-მინისტრმა მორიგ ისტორიულ ნაბიჯად და საქართველოს ევროპული მისწრაფებებისადმი მტკიცე მხარდაჭერის კიდევ ერთ გამოვლინებად შეაფასა. ისაუბრეს ასევე საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის შექმნის მნიშვნელობას, რომელიც საპარლამენტო დონეზე სიღრმისეული პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ მინისტრი მოლდოველ კოლეგასაც შეხვდა. საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ინტენსივობის ამაღლების მიზნით, ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის შექმნა იგეგმება. ირაკლი ღარიბაშვილმა კირილ გაბურიჩის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მოლდოვასთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრისას აღნიშნა, საქართველოსთვის პრიორიტეტულია თანამშრომლობა ევროინტეგრაციისა და სავიზო ლიბერალიზაციის საკითხებზე გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის წარმატებულ თანამშრომლობას საბაჟო და სამართალდამცავ სფეროში გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა ქართველ კოლეგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა.

**„მზად ვართ, ვაჩვენოთ არსებითი წინსვლა ევროინტეგრაციის დღის წესრიგის განხორციელების გზაზე“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკთან ერთობლივ ბრიფინგზე. მისი თქმით, საქართველოს ამბიციაა, იქცეს წარმატების მაგალითად რეგიონში და ცხადყოს ევროინტეგრაციის გარდამქმნელი ძალა: **„ასოცირების ხელშეკრულება არ არის საბოლოო მიზანი ჩვენს ურთიერთობებში ევროკავშირთან — ის მხოლოდ გზას უხსნის ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. საქართველოს მთავრობა კონცენტრირებულია ჩვენი მოქალაქეებისთვის ევროპული დღის წესრიგის სარგებლის ცხადყოფაზე“.** პრემიერმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ ევროკომისია დადებითად შეაფასებს საქართველოს წარმატებებს და გასცემს რეკომენდაციას მისი მოქალაქეებისთვის მოკლევადიანი ვიზების გაუქმებასთან დაკავშირებით.




პრემიერ-მინისტრმა რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალთან ე.წ. შეთანხმებების გაფორმება რეგიონების ანექსიის მცდელობად შეაფასა, ასევე, შეშფოთება გამოთქვა უკრაინის კრიზისის გამო. მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო იყო და არის ევროკავშირის სანდო პარტნიორი მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

*„ვერსიანიუსი“*



## პრეზიდენტი, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სასაუბროდ ექსპერტებს შეხვდა

ექსპერტებისა და გიორგი მარგველაშვილის შეხვედრაზე საუბრის ძირითადი თემა იმ ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება იყო, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით უნდა ჰქონდეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ივლიანე ხაინდრავამ განაცხადა, უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი, კონსოლიდირებული, ქართული პოზიცია საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით: **„პრეზიდენტი აგრძელებს შეხვედრებს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების წარმომადგენლებთან იმ ფორმატში, რომელიც დადგინდა შემოდგომაზე. შეხვედრაზე ვისაუბრეთ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემებზე. ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული უნდა იყოს ერთიანი, კონსოლიდირებული, ქართული პოზიცია, თუ როგორ მოგვარდეს პრობლემა. დღევანდელ შეხვედრაზე აფხაზეთის რკინიგზაზე საუბარი არ ყოფილა“.**

პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრას კორნელი კაკაჩია, სერგი კაპანაძე, ნიკა რურუა, იაგო კაჭკაჭიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი, ბათუ ქუთელია, დავით სიხარულიძე, ალექსანდრე რუსეცკი, თორნიკე შარაშენიძე და სოსო ცისკარიშვილი ესწრებოდნენ.

*„პირველი“*

## „ავტომანქანა, რომლითაც დავით ნარმანია გადაადგილდება, სანდრა რულოვსის მშობლებს ემსახურებოდა“



თბილისის მერიის ინფორმაციით, სდსს-მა 2014 წლის ოქტომბერში აღნიშნული ავტომანქანა თბილისის მერის დაცვის სამსახურისთვის გამოყო და მისი ექსპლუატაციის ხარჯებსაც თავად ფარავს. თბილისის მერიის ინფორმაციით:

**„25 თებერვალს საკრებულოს წევრმა სევდია უგრეხელიძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის კომენტირებისას განაცხადა, რომ თბილისის მერი დავით ნარმანია მოძრაობს 100 ათასდოლარიანი მანქანით, რომელიც მისთვის სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა შეიძინა.**

**ავტომანქანა, რომლითაც დედაქალაქის მერი გადაადგილდება, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა 2011 წელს შეიძინა და ის საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მეუღლის, სანდრა რულოვსის მშობლებს ემსახურებოდა.**

**იმის გამო, რომ დედაქალაქის მერი კანონით სარგებლობს დაცვის მომსახურებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა 2014 წლის ოქტომბერში აღნიშნული ავტომანქანა თბილისის მერის დაცვის სამსახურისთვის გამოყო და მისი ექსპლუატაციის ხარჯებსაც თავად ფარავს. სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალება თბილისის მერს არ ემსახურება“.**

*„პირველი“*

## „აფხაზეთის რკინიგზაზე ახალი არაფერი ყოფილა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრაზე აფხაზეთის რკინიგზის თემაზე ახალი არაფერი განხილულა.

როგორც აბაშიძემ პრაღაში შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, ეს არის საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზა და ამ საკითხზე აფხაზებთან საუბარი არ არის დაგეგმილი: **„აფხაზეთის რკინიგზაზე ახალი არაფერი ყოფილა. ჩვენ ადრეც გვსმენია მათი აზრი, რომ თუ საქართველო დაინტერესებულია ამ რკინიგზის მონაკვეთის ამოქმედებით, ჩვენ უნდა მივმართოთ აფხაზებს და მათთან მოვილაპარაკოთ. ჩვენი პასუხი ადრეც იყო და ახლაც არის ის, რომ ეს არის საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზა და ამ საკითხზე საუბარს აფხაზებთან არ ვაპირებთ“.**

*„პირველი“*

# ნაციონალები ახალ 15 ნოემბერს აანონსებენ

## „ეს ხელისუფლება კანონიერი და კონსტიტუციური გზით უნდა შეიცვალოს“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ლევან ბეჟაშვილის, გიგი წერეთლისა და გოკა გაბაშვილის ინიციატივით, საპარლამენტო უმცირესობამ პრეზიდენტს 27 თებერვალს რიგგარეშე სხდომის ჩატარება მოსთხოვა. ნაციონალებს პარლამენტში პრემიერისა და ეკონომიკური ბლოკის მინისტრების დაბარება და მათთან „ჭეშმარიტ ეკონომიკაზე“ გასაუბრება სურდათ, თუმცა პრეზიდენტმა მათ შეთავაზებას უარით უპასუხა. რა კონკრეტული პრეტენზიები აქვთ მინისტრებთან, ერთიანდებიან თუ არა დანარჩენ ოპოზიციასთან და გველის თუ არა მშიერი ბუნტი? — „ვერსიას“ სხდომის ერთ-ერთი ინიციატორი, გიორგი წერეთელი ესაუბრება.**



— სამმა ადამიანმა ხელი ფრაქციის ინიციატივას მოვაწერეთ. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში სავალუტო კრიზისია და ლარის მდგომარეობა რეკორდულად გაუარესდა, ხოლო ამ ციფრების უკან სიღარიბე დგას და ალბათ, ბევრისთვის ტრაგიკული მოვლენებიც. თბილისში უკვე ბევრი ობიექტი დაიხურა, მედიკამენტები გაძვირდა. ქვეყნის ჩამონგრევა ნამდვილად არ გვსურს, პოლიტიკოსები ვართ და უნდა გავიგოთ, რას აპირებს მთავრობა.

**— რაკი შეხვედრის საშუალება არ მოგეცათ, გვითხარით, კონკრეტულად რა საკითხების დაყენებას აპირებდით?**

— როგორია მთავრობის ხედვა, რა მოკლევადიან გადაწყვეტილებაზეა საუბარი, ლარის ვარდნის შესაჩერებლად, როგორ აპირებენ საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესებას. მთავრობამ რამდენიმე დღეში მკაფიო გეგმა თუ არ დადო, ვითარება კიდევ უფრო არასტაბილური გახდება. საინტერესოა, რას გეგმავს მთავრობა მონეტარული პოლიტიკის თვალსაზრისით, ან კონკრეტულად რა ხარჯების შემცირებაა დაგეგმილი. აღმოჩნდა, რომ 147 მილიონად ახალი მანქანები შეუძენიათ, ახალი შეკვეთებიც გაუკეთებიათ. თუ ქამრების შემოჭერაში ახალი „ჯიპის“ ღვედების გადაჭერას გულისხმობენ, არ გამოადგებათ.

**— ისე, პარლამენტში არც თქვენი მინისტრები დადიოდნენ, უკეთეს შემთხვევაში, მოადგილეებს უშვებდნენ და არგუმენტად ამასაც გაგიხსენებენ.**

— საარქივო მასალები არსებობს, მინისტრები პარლამენტში საკმაოდ ხშირად დადიოდნენ და მოადგილეებსაც უშვებდნენ. ახლა ის ვითარება ნამდვილად არ იყო, ვინმეს მოსვლაზე უარი ეთქვა, ან მოადგილე გამოეშვა. ქვეყანაში ასეთი კრიზისი არ ყოფილა. უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი ამბობდა, 9 წლის განმავლობაში ქვეყანა ინგრეოდაო. ნამუსიც კარგი საქონელია, საქართველო, საინვესტიციო და ეკონომიკური კუთხით, ამ დღეში ყოფილა? არადა, ბიძინამ პროგნოზი გააკეთა, მესამე წელი კარგი იქნებაო. როგორც ჩანს, მისი პროგნოზი უკუღმა სრულდება — პირველი წელი ძნელი იქნებაო და ასეც იყო, მაგრამ ქვეყანა ჩვენი დანატოვარი ბიუჯეტითა და ინერციით მიდიოდა, მეორე წელი უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველზე უარესი იყო, მესამე კი, კარგის ნაცვლად, კატასტროფულია.

**— ნაციონალური პროგნოზით, მეოთხე წელს რა ხდება?**

— არ ვიცი, მეოთხე წელს ნამდვილად ვერ ვხედავ ამ ხელისუფლებას, განსაკუთრებით, ასე თუ გაგრძელდა. ისეთ დღეში არიან, ყველას უნდა უსმენდნენ, ვისაც ჭკუა მოეკითხება — ექსპერტებსაც და ოპოზიციასაც. ხალხს იქამდე მიიყვანენ, თვითონ მონახავს ბერკეტებს, როგორ გაუსწორდეს ხელისუფლებას! ამიტომაა საჭირო დისკუსია, რომლის დროსაც რაღაც ისეთსაც იტყვის ვინმე, რაც თავად „ოცნებას“ გამოადგება. ივანიშვილი რომ მთელ მსოფლიოში დადიოდა და გაიძახოდა, ნაციონალები გატყუებენ, ეს ცუდი ქვეყანაა და აქ ფული არ ჩადოთო, ამ უაზრო პოლიტიკის შედეგებს ახლა იმკიან.

**— სულ უფრო ხშირად საუბრობენ ე.წ. მშიერ ბუნტზე, ვადამდელ არჩევნებსა და იმაზე, რომ ამ არეულ ვითარებას ნაციონალები გამოიყენებენ, საპროტესტო მუხტს აწევენ. ხალხის მობილიზებას მართლა გეგმავთ?**

— მშიერი ბუნტი ძალიან მძიმეა, მაგრამ რეალურია. ეს არავის სურს, არც მე, არც ჩემს პარტიას და სწორედ ამიტომ გვინდა მთავრობასთან შეხვედრა. ამ ხნის განმავლობაში არც შიმშილობა დაგვიწყია, არც კარვები დაგვიდგამს, არც ხალხისთვის დაგვიძახია. ჯერ რამდენიმე პუნქტი შევთავაზეთ, სადაც გადასახადებისა და აქციზების შემცირებაზე, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციასა და ინვესტორების მოზიდვაზე იყო საუბარი, ახლა 36-პუნქტიანი გეგმა მივეცით. ხალხისთვის ნათელია, რომ მათი ძირის გამოთხრაზე არ ვმუშაობთ. უბრალოდ, ოპოზიცია ხალხთან ერთად იქნება. ასე იყო ჩვენ დროსაც — როცა რაღაც ისე არ ხდებოდა, ხალხი გარეთ გამოდიოდა და თავის აზრს გამოხატავდა. ასეთია დემოკრატია და რა თქმა უნდა, აქციებიც ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. აბა, ოპოზიცია ხელისუფლებას დაუჭერს მხარს თუ რა ჰგონიათ?

**— დავაზუსტოთ — ხალხი გავა ქუჩაში და თქვენ დინებას მიყვებით, თუ ხალხს თავად ამზადებთ ქუჩის აქციებისთვის?**

— დარწმუნებული ვარ, ხალხი გადაწყვეტს, ქუჩაში გავიდეს და ხელისუფლებას დაანახოს, რომ ცხოვრება ასე ვერ გაგრძელდება. შეიძლება, ჩვენ მოვუწოდოთ და საპროტესტო აქციას გავუკეთოთ მობილიზება, ამაში გასაკვირი და ანტიკონსტიტუციური არაფერია. ნოემბერში დიდი მიტინგი მოვაწყვეთ, სადაც 40 000-მდე ადამიანი გამოვიდა, იმის მერე ამ ხალხს სიბრაზე არ განელებია, მეტიც, თითოეული მათგანის უკან დღეს, ალბათ, 2-3 კაცი დგას და მთავრობის პასუხი აინტერესებს.

— **ახალ 15 ნოემბერს აანონსებთ**?

— თუ ასე გააგრძელეს — ყველაფერი კარგადაა და არაფერი ხდებაო, ჩვენ კი არა, ხალხს ქუჩაში თავად ხელისუფლება გამოიყვანს! ამ დროს „ოცნებაში“ ამბობენ, რომ თურმე, ჩვენ ყველაფერს სხვანაირად ვხატავთ, გვინდა, ქვეყანა დაიქცეს და ამისთვის ტელევიზიასა და არასამთავრობოებს ვიყენებთ. ეს ხომ არაადეკვატური მოქმედებაა, აი, ადეკვატური კი სწორედ საპარლამენტო სხდომაა. ჩვენ ხომ არ გვითქვამს, ხალხო, ყველანი 27 თებერვალს ქუჩაში გამოდითო?! ეს მთავრობა იმასაც კი ვერ ხვდება, რომ მათ მდგომარეობიდან გამოსვლაში ვეხმარებით. იმედია, ამას დაინახავენ.

**— თუ ვერ ხედავენ, მაშინ?**

— მაშინ მოვლენები მათთვის ძალიან მწვავედ განვითარდება. „ოცნებაზე“ სულაც არ ვნაღვლობ, მთავარი ჩვენი ქვეყანაა, რომელშიც ყველანი ერთად ვცხოვრობთ.

**— ოპოზიცია ერთობლივ დოკუმენტს ამზადებს. საარჩევნო კოდექსის შეცვლას ითხოვენ, რადგან „ოცნებას“ ვადამდელი არჩევნები აქვს დაგეგმილიო. რატომ გაემიჯნეთ პროცესს და დანარჩენ ოპოზიციასთან საერთო ენის გამონახვას თუ აპირებთ?**

— არ ვართ გამიჯნულნი, პირიქით, მთავრობისგან საარჩევნო რეფორმას ვითხოვთ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებსგარეთ. ცოტა ხნის წინ ამერიკაში საარჩევნო საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებს, სენატორებს, რესპუბლიკური ინსტიტუტის წევრებსაც შევხვდით, სადაც სწორედ ამ საკითხებს შევეხეთ. მხარს ვუჭერთ იდეას, არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდეს, სხვა შემთხვევაში, ახლა არჩევნებს აზრი არ აქვს. ოპოზიციის ამ მოთხოვნას მხოლოდ სოლიდარობას არ ვუცხადებთ, ამ საქმის ინიციატორებიც გახლავართ. თუ დაძაბულობამ იმატა და მშიერი ბუნტის საფრთხე იგრძნო ხელისუფლებამ, შესაძლოა, ვადამდელი არჩევნებით მართლაც განმუხტოს ვითარება, თუმცა ჯერ მთავრობა უნდა გადადგეს. გარდა ამისა, ქვეყანას ვადამდელი არჩევნები ძალიან ძვირი დაუჯდება, ამიტომ ჩვენი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებითა და საარჩევნო რეფორმის გარეშე, ამას აზრი არ აქვს.

**— თან არც თქვენ გაწყობთ არჩევნები.**

— და ვის აწყობს?

**— „ოცნებას“, რომელმაც 2016 წლამდე, შესაძლოა, რეიტინგი უფრო დაკარგოს.**

— არ მგონია, ხელისუფლებას დღეს საოცრად დადებითი სურათი ჰქონდეს, თუმცა არსებული საარჩევნო სისტემით, მოსაგებად ყველაფერს გააკეთებს — გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს, პროცესში სამართალდამცავებს ჩართავს, რათა მაჟორიტარული არჩევნები მოიგოს.

**— თქვენგან ისწავლეს!**

— მერე, რაღაც კარგი ესწავლათ, მაინცდამაინც ცუდს რომ სწავლობენ! თუმცა ეს პოლიტიკური ტექნოლოგიებია და უნდა ხვდებოდნენ, რომ, თუ რაღაც ჩვენგან ისწავლეს, ე.ი. ეს მათზე უკეთ ვიცით! სწორედ ამიტომ ვეცდებით, მსგავსი რამ არ დავუშვათ.



## შსს რუსულ სატვირთო ავტომანქანებზე სრულ ინფორმაციას ფლობს

ნინო გიორგობიანის განცხადებით, ავტომანქანებს სამხედრო დანიშნულება არ გააჩნია და არავითარ საფრთხეს საქართველოს ან მისი მეზობელი ქვეყნების ინტერესებისთვის არ წარმოადგენს.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის თქმით, ავტომანქანების მფლობელი პირი იდენტიფიცირებულია, ხოლო აღნიშნული ავტომანქანები დგას თბილისში, მეორადი გამოყენებისა და სათადარიგო ნაწილებად რეალიზციისათვის: **„სოციალურ მედიაში გავრცელდა ფოტოსურათები, სადაც დაფიქსირებულია სატვირთო ავტომანქანები რუსული სატრანზიტო ნომრებით. შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ავტომანქანებზე სრულ ინფორმაციას ფლობს. ავტომანქანებს სამხედრო დანიშნულება არ გააჩნია და არავითარ საფრთხეს საქართველოს ან მისი მეზობელი ქვეყნების ინტერესებისთვის არ წარმოადგენს. სატვირთო ავტომანქანები შესყიდულია კერძო პირის მიერ რუსეთის ფედერაციაში. მათ მინიჭებული აქვთ სატრანზიტო ნომრები, რომლითაც მესამე ქვეყანაში გასვლა იკრძალება. ავტომანქანების მფლობელი პირი იდენტიფიცირებულია, ხოლო აღნიშნული ავტომანქანები დგას თბილისში, მეორადი გამოყენებისა და სათადარიგო ნაწილებად რეალიზაციისათვის“.**

***„პირველი“***

## საპროტესტო აქციაზე 4 პირი დააკავეს

ეკონომიკის სამინისტროსთან მიმდინარე აქციაზე 4 პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აქციის მონაწილეები დაკავებულნი არიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებით, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს. ეკონომიკის სამინისტროსთან სოციალურად დაუცველების საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. ისინი დროებითი საცხოვრებელი ფართების დაკანონებას ითხოვენ.

***„ინტერპრესნიუსი“***



## შსს-მ ძარცვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს გაჩიანის განყოფილების და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბორის ლ. და 1980 წელს დაბადებული, ასევე წარსულში ნასამართლევი როინ ფ. ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისში, ჩაბალის ქუჩაზე, 1985 წელს დაბადებულ ნატა ი-ს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ხელჩანთა პირადი ნივთებით გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბორის ლ. გარდაბანში, სოფელ გამარჯვებაში, ხოლო როინ ფ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. ნაძარცვი ხელჩანთა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ძარცვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

***„ვერსიანიუსი“***



## ლარის კურსთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს

„საზოგადოება 20/30“ ლარის კურსთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის სპეციალურ განცხადებას ავრცელებს: „2014 წლის შემოდგომიდან ლარის კურსთან დაკავშირებული მოვლენები სწორედ იმ საგარეო ფაქტორების ზეგავლენის ადეკვატურად განვითარდა, რაც რეგიონის სხვა ქვეყნების ეკონომიკებისთვისაც დამახასიათებელია. სავალუტო კურსზე დიდი ზეგავლენა მოახდინა დოლარის გამყარებამ თითქმის ყველა ვალუტის, მათ შორის, ევროს მიმართ და რეგიონში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ვითარებამ.

მიმაჩნია და ეს მოსაზრება სრულად შეესაბამება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პოზიციას, რომ საქართველოში არის მცურავი გაცვლითი კურსი, რაც ეკონომიკისთვის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმია. შესაბამისად, კურსის ცვლილება ხდებოდა ხან ერთი და ხან მეორე მიმართულებით, გაუფასურებას მოჰყვებოდა გამყარება და პირიქით. ლარის კურსის მერყეობა ჯდებოდა სტაბილური ვალუტებისთვის დამახასიათებელი მერყეობის პარამეტრებში და ეს იყო ჯანსაღი რეაქცია საგარეო ეკონომიკური გარემოებების ცვლილებაზე.

საქართველოს მთავრობამ სწორედ იმ მიზნით, რომ შეემსუბუქებინა საგარეო ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენა, გატარებული ფისკალური პოლიტიკით, 2014 წელს შეამცირა ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი 3.9%-დან 2.9%-მდე (300 მლნ ლარი).

წინა წლის ბოლოს და 2015 წლის იანვარში ლარის გაცვლითი კურსი დასტაბილურდა და საგარეო ფაქტორებისგან გამოწვეულ გარემოებებთან მიმართებაში მეტ-ნაკლებად ადეკვატურ ნიშნულზე დაფიქსირება.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები კი აშკარად ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს ქვეყანაში შექმნილ არასწორ მოლოდინთან, სპეკულაციურ გარიგებებთან და აჟიოტაჟთან, რომლის შექმნასაც დიდი მონდომებით ცდილობენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მათი „ექსპერტები“, რომლებიც, ყოველგვარი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე, ხელს იშვერენ მთავრობისკენ მაშინ, როდესაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

სწორედ ეროვნული ბანკის კომპეტენცია და პირდაპირი მოვალეობა იყო სიტუაციის სწორად მართვა, რათა საქმე არ მისულიყო არაადეკვატურ განვითარებამდე. ჩვენ კი დავინახეთ საწინააღმდეგო, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნულმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ, თავისი უმოქმედობითა და არასწორი ქმედებებით, მიგვიყვანა ეროვნული ვალუტის კრიზისამდე.

ვალუტის კურსის ნახტომისებრი ცვლილების თავიდან აცილების მიზნით რეგიონის სხვა ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა რეზერვების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღეს (სომხეთი — 34%, მოლდოვა — 30%), რამაც დღეისთვის მათი ვალუტების სტაბილურობის ტენდენცია განაპირობა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კი ოფიციალური რეზერვების მხოლოდ 5%-მდე (120მლნ. დოლარი) დახარჯა, რაც შედეგს ვერ გამოიღებდა და ვერც გამოიღო.

ეროვნულ ბანკს აქვს შესაბამისი ბერკეტი, რომ უზრუნველყოს მცურავი კურსის პირობებში ეროვნული ვალუტის დასტაბილურება. ყველა ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, დღეს ლარის გაცვლითი კურსი არ უნდა აღემატებოდეს 2.0 ლარს და მოვუწოდებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, შეასრულოს კონსტიტუციური მოვალეობა და გადადგას ადეკვატური ნაბიჯები“.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ფოლადაანთკარში ხანძარს სამი ადამიანი ემსხვერპლა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაანთკარში შემთხვევა 25 თებერვალს მოხდა, ხანძრის შედეგად ერთსართულიანი ხის სახლი მთლიანად დაიწვა. ადგილზე გამოიძახეს რუსთავის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორი ბრიგადა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსის, თამაზ დარბაიძის განაცხადებით, შემთხვევის ადგილზე მისულ მეხანძრეებს სახლი მთლიანად ცეცხლის ალში გახვეული დახვდათ. წინასწარი ინფორმაციით, ხანძრის ადგილზე აღმოჩენილი იქნა სამი გვამი, რომელთა შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია.

ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე დაწყებულია მოკვლევა.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის „ლეიბორისტული“ რეცეპტი



## „ერთი მილიარდი ასესხოს ივანიშვილმა სახელმწიფოს და ლარი დასტაბილურდება“

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

**ჯერ მთავრობიდან, შემდეგ კი საპარლამენტო კომიტეტებიდან „თავისუფალი დემოკრატების“ დემარშის შემდეგ, პოლიტიკური პარტიების ნაწილი „ოცნების“ მმართველი კოალიციის დაშლის მოლოდინში გაირინდა, ნაწილი კი სოციალური ბუნტისთვის ემზადება. ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივანს, გიორგი გუგავას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნოდ შექმნილი კოალიციები არ ამართლებს და ოდესმე თუ რომელიმე პარტიასთან გაერთიანდებიან, მხოლოდ არჩევნების შემდგომ პარლამენტში.**

— საქართველოში ყველა კოალიცია დაიშალა, რასაც ქვეყნისთვის ნეგატიური შედეგები მოსდევდა. ნაციონალური მოძრაობაც, თავის დროზე, კოალიცია იყო. დღეს „ოცნებაში“ ძალაუფლებისთვის, ივანიშვილის ფულის გარშემო არიან გაერთიანებულნი. საქართველოში კოალიციების შექმნას მახინჯი სახე აქვს და გარდაუვალია დაპირისპირება, დაშლა. დასავლურ დემოკრატიებში პარტიები არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე ერთიანდებიან. მხოლოდ „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები კი არა, ცალკეული ფორვარდების მადა როცა არ დაკმაყოფილდება, დატოვებენ გაერთიანებას. ამ პროცესს აჩქარებს უმძიმესი ფინანსური და სოციალური პრობლემები.

**— კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის მოლოდინი ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებიდან არსებობს. ახალი სახეების მოძიება იმის გამო ხომ არ დაიწყეს, რომ ნაციონალური მოძრაობა ძალას იკრებს?**

— მკვდარს გვირგვინი ვერ უშველის. ვერანაირი ახალი ან ძველი სახე, ან ხელოვნური კომბინაციები მილიარდერის მთავრობას ვერ გადაარჩენს. ქვეყანაში დღეს დამყარებულია მმართველობის ყველაზე მახინჯი ფორმა, ოლიგარქიული სისტემა, რომელიც მდიდართა კასტის, მცირერიცხოვანი ჯგუფის მილიონერ-მილიარდერთა გაერთიანების მართვას ნიშნავს და მათ ინტერესებს ემსახურება. დღეს ხელისუფლებაში, ივანიშვილის მეთაურობით, თავმოყრილია ის ადამიანები, რომლებმაც კრიმინალური გზით დააგროვეს ქონება და ახლა მის დაცვას ცდილობენ.

**— ვინ არიან ესენი?**

— ბატონი ივანიშვილი, ბატონი კალაძე, ტყემალაძე, თოფაძე, ოქრიაშვილი, გელაშვილი... მივმართეთ დავით უსუფაშვილს, კეთილი ინებოს და, კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედოს, რომელიც კრძალავს, პარლამენტარებს ბიზნესი ჰქონდეთ. ასეთი პარლამენტში დაახლოებით 20-25 კაცია. ოლიგარქ-მილიონერთა ჯგუფს აინტერესებს ძალაუფლება. ისინი ამ ქვეყანას უყურებენ, როგორც ქარვასლას, დანარჩენი ეფემერული განცხადებებია, ხალხის მოსატყუებლად გადაყრილი საკენკი.

**— ხალხს დღეს ისევ აქვს გადაჭარბებული ნდობა ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომელიც „ოცნებასთან“ ასოცირდება?**

— თავის დროზე, შეიძლება ჰქონდა. ჩვენ ვაფრთხილებდით საზოგადოებას და ამის გამო დაგვსაჯეს. გვლანძღავდნენ და ხმაც არ მოგვცეს. ყველამ ნახეთ, რა პროცესები მიდის ქვეყანაში — ეკონომიკური კოლაფსი, ფინანსური კატასტროფა, ქვეყნის გაღატაკება-გაუბედურება. ვუყურებ ამ ლეგენდადშერაცხულ ივანიშვილს, როგორ ჩაიგდო ხელში სტრატეგიული ობიექტები, როგორ გაურიგდა დამნაშავე რეჟიმს, ჩამოაყალიბა მასთან კოაბიტაცია.

**— ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ მაინც მისგან ელის ქმედით ნაბიჯებს.**

— ეს თქვენი პოზიციაა. ძალიან კარგად ვიცი ხალხის დღევანდელი განწყობა.

**— ელით ვადამდელ არჩევნებს?**

— ზოგადად, არჩევნებს აზრი არ აქვს, თუ არ შეიცვალა არჩევნების შესახებ კანონში დრაკონული ნორმები, რომლებიც იმაზე უარესია, ვიდრე ნაციონალებს ჰქონდათ... მით უმეტეს, როდესაც მილიარდერი დგას ხელისუფლების სათავეში და არჩევნების გასაყალბებლად იყენებს პირად რესურსსაც და ადმინისტრაციულსაც. ასეთი დემოკრატიით აოცებს ევროპას? პროცესები ისეთი დაჩქარებული ტემპებით მიდის, გარდაუვალია ამ ხელისუფლების ჩამოშლა. ამას საგარეო გეოპოლიტიკური ვითარებაც უწყობს ხელს. არავინ აპატიებს ამას ივანიშვილსა და მის გაქსუებულ მთავრობას. თურმე, ახლა საქართველოს მოსახლეობის მთავარი პრობლემა ისაა, რომელ ვალუტაში დააბანდოს თანხა და თურმე ბანკირები უნდა დავიქირაოთ. ოფიციალური სტატისტიკით, მოსახლეობის მესამედი სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა. საარსებო მინიმუმი არც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გადაიანგარიშეს და არც გაზარდეს. 38 ათას სტუდენტს თანხის გადაუხდელობის გამო სტატუსი შეუჩერეს. ოჯახების სარჩენად მილიონობით ადამიანია გადახვეწილი სხვა ქვეყანაში. ამ დაქცეულ ქვეყანაში მარტო 150 მლნ-ის ავტომობილები იყიდა ხელისუფლებამ. სწორედ ამას ვსაყვედურობდით ნაცმოძრაობას. გახსოვთ, როგორ დაირაზმა ერი, მილიარდერს უჭირს, მისი ბანკი უნდა გადავარჩინოთო? რიგები იდგა „ქართუ“ ბანკის წინ, ფული შეჰქონდათ. როგორ გადაუხადა ხალხს სამაგიერო? საკმარისია, ივანიშვილმა ერთი მილიარდი ასესხოს სახელმწიფოს, რომ მთლიანად დასტაბილურდება ვითარება.

**— სოციალურ აფეთქებას ელით?**

— ეს გარდაუვალია. მშიერი ხალხის ბუნტია მოსალოდნელი. უკან დარჩებათ რიგგარეშე არჩევნები, იქნებ გასაქცევ გზას ეძებდნენ.

**— ლეიბორისტები ჩაუდგებით სათავეში სოციალურ პროტესტს?**

— თუ პროცესი ასე ვითარდება, ბუნებრივია, სულ რომ არ გინდოდეს, პოლიტიკოსი ჩაერთვები. ჩვენ ერთ-ერთი მაორგანიზებელი ძალა ვიქნებით. არ ვამბობ, რომ კონსტიტუციურ გადატრიალებას მოვაწყობთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, კუდით ქვა ვასროლინოთ ამ ხელისუფლებას და პასუხი ვაგებინოთ დანაშაულზე.

**— ვადამდელი არჩევნები ტვირთად არ დააწვება ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას?**

— ტვირთად ეს ხელისუფლება აწევს ქვეყანას თავისი გაუმაძღრობით. კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება სამართლიანი არჩევნებია. უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა. მაჟორიტარები მილიონერთა კლუბის წარმომადგენლები არიან. ყიდულობენ რაიონებს და პარლამენტარის სტატუსს საკუთარი ბიზნესინტერებისთვის იყენებენ. დაახლოებით 30-მდე კაცი იყო შევარდნაძესთან, მერე სააკაშვილთან, ახლა გადაბარგდნენ ივანიშვილთან. იგებენ ტენდერებს, ყვლეფენ ამ ქვეყანას

**— იმის თქმა გინდათ, რომ რეგიონებში ხალხს იოლად ატყუებენ?**

— გაღატაკებული, დამშეული ხალხის ყიდვა ადვილია. ამავე დროს, თავად მაჟორიტარული სისტემაა დისკრიმინაციული, არ ასახავს პარტიის მიმართ რეალურ განწყობას.

**— კი მაგრამ, რეგიონებს თავიანთი წარმომადგენლები ხომ სჭირდებათ პარლამენტში?**

— ჩვენ არ ვართ ფედერალური მოწყობის სახელმწიფო და არ გვაქვს ორპალატიანი პარლამენტი, სადაც ერთ პალატაში შესაძლოა იყვნენ წარმოდგენილნი მაჟორიტარები.

**— არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს, რა პროცენტის იმედი გაქვთ?**

— ვერ დავიწყებ ახლა წინასწარმეტყველებას. არჩევნების შესახებ კანონის შეცვლის შემთხვევაში ლეიბორისტული პარტია მზად არის, მოვიდეს ხელისუფლებაში. რა პროცენტით იქნება ეს, კოალიციური მთავრობა შედგება თუ რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

**— „ოცნებას“ ადანაშაულებენ ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაციაშიც...**

— იმ დანაშაულებრივი კოაბიტაციით, მან სრული რეაბილიტაცია მოახდინა და მით უმეტეს, იმ პოლიტიკით, რომელსაც დღეს ატარებენ. ამან მეორე სუნთქვა გაუხსნა ნაციონალებს. ივანიშვილს თავის დროზეც უდიდესი წვლილი მიუძღვის ხელისუფლებაში მათ მოყვანაში. ნაციონალებმა ერთი ბიუსტი ოფისში ნამდვილად უნდა დაუდგან ივანიშვილს.

**— გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი უკმაყოფილოა, საქართველოს ხელისუფლება ამერიკის მითითებებს არ ასრულებსო. ქართულ პოლიტიკაში გარდაუვალია რომელიმე ქვეყნის მითითებების შესრულება?**

— ერთი უბედურება გვჭირს. თავისუფალი ქვეყნის ხელისუფლებას კი არ ვირჩევთ, არამედ ისეთს, რომლის წევრებსაც მონური მორჩილება აქვთ უცხოური ცენტრების მიმართ და მათი დაკვეთის შემსრულებლები არიან, ოღონდ მათ პირად კეთილდღეობას პრობლემა არ შეექმნას. ამიტომ სჭირდება ქვეყანას ეროვნული ხელისუფლება და არა უცხოეთიდან თავსმოხვეული და დაფინანსებული.

**— ვადამდელი არჩევნები ვისთვის იქნება მომგებიანი?**

— ამ კანონმდებლობით არჩევნების ჩატარება ნიშნავს საკუთარი თავის დანიშვნას. მარტივად ვერ გამოაცხადებენ ვადამდელ არჩევნებს, ამისთვის სახელისუფლებო კრიზისი უნდა შეიქმნას. ასეთი კრიზისი კი უფრო დააქცევს ქვეყანას.

**— „ოცნებამ“ არ ჩაატარა წინა ორი არჩევნები სამართლიანად?**

— მეტი არ აუდგეთ გვერდები... თვითონ იტყვიან, არ გაგვიყალბებიაო. თუ ამომრჩევლის ასეთი მაღალი და გადაჭარბებული ნდობა აქვთ, არჩევნების შესახებ კანონი შეცვალონ.

# „უდო“-ს კომისია ფორმალურად უქმდება?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პატიმრობის კოდექსის 41 კანონში შესატანი ცვლილებები პარლამენტმა უკვე მეორედ მოისმინა. ყველა ამ კანონიდან, ყველაზე ხმაურიანი, პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების საქმეების განმხილველი ორგანოს, ე.წ. უდო-ს კომისიის გაუქმებაა. ეს კომისია ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, თუმცა ცვლილების პაკეტის მიღების შემთხვევაში, გაუქმდება და ჯერჯერობით, მის ნაცვლად არც ახალი სისტემა ამოქმედდება — პატიმართა საქმეებს მხოლოდ ადგილობრივი საბჭოები განიხილავენ. თუმცა, თუკი უდო-ს კომისია მიკერძოებული და კორუმპირებული იყო, როგორც ყველა ეჭვობს, რატომ არ შეიძლება, იგივე საფრთხეები ადგილობრივ საბჭოებშიც არსებობდეს, მით უმეტეს, მუდმივმოქმედი კომისია საქმეებს მთელი ქვეყნის მასშტაბით განიხილავდა და ალბათ, „ჩაწყობა“ იქ უფრო რთული იყო, ვიდრე ადგილობრივ საბჭოებში, სადაც პატიმართა საქმეები მხოლოდ ლოკალურად განიხილება.**



## რა საფრთხეებს ხედავენ უფლებათდამცველები ადგილობრივი საბჭოების მიერ პატიმრების საქმეთა განხილვაში

შესაძლოა, ბევრმა ისიც არ იცის, საერთოდ, რას წარმოადგენს ეს ადგილობრივი საბჭო. 2010 წელს „პატიმრობის შესახებ“ კანონში ცვლილება შევიდა და 3 ახალი ორგანო, ანუ ადგილობრივი საბჭო შეიქმნა. დღეისთვის ასეთი ხუთია — აღმოსავლეთის 1, აღმოსავლეთის 2, დასავლეთის, ქალთა და არასრულწლოვანთა. ყველა საბჭო 5-5 წევრითაა დაკომპლექტებული, რომლებიც 6 თვის ვადით ინიშნებიან. ეს წევრები არიან: სასჯელაღსრულების სამინისტროს, პრობაციის სამსახურის, აკადემიური წრეების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. საბჭო შუამდგომლობებს იხილავს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თავად ათავისუფლებს პატიმარს. ამით, საბჭომ, ფაქტობრივად, სასამართლო ჩაანაცვლა. აი, „უდო“-ს კომისია კი, რომელსაც „ელიტური სიების“ არსებობას სამართლიანად ედავებიან, საბჭოსა და თვით სასამართლოზე ზემდგომი ორგანო გამოდიოდა — საბჭოსა და სასამართლოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, უდო-ს დადებითი დასკვნის გამოტანა მაინც შეეძლო. როცა მინისტრის მოადგილე, კახა კახიშვილი მის გაუქმებაზე საუბრობდა, განაცხადა, რომ ეს იურიდიული ნონსენსია, ხოლო უდო-ს განხილულ საქმეებზე დაკვირვების შედეგად, ჩნდება ეჭვი, რომ არსებობენ ე.წ. ელიტური მსჯავრდებულები. პარლამენტში გამოსვლისას, კახიშვილმა კონკრეტული სტატისტიკაც მოიშველია: უდო-ს კომისიაში ათასობით განაცხადია შესული, მათგან დაკმაყოფილებული კი ზუსტად იმდენია, რამდენიც განხილულიო. ათასებიდან მხოლოდ ე.წ. ელიტური, 1 400 პატიმარი გაამართლეს და ამდენივე საქმე განიხილეს, დანარჩენებს მათი საქმეების განხილვის პატივიც არ დასდეს, რაც ეჭვებს ნამდვილად იწვევსო. ყველა ამ არგუმენტისა და მოარული ხმების გათვალისწინებით, იმაზე არავინ დავობს, რომ 7 წევრისგან შემდგარი, სამინისტროს ხალხითა და დეპუტატებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც ყველა კანონზე მაღლა დგას, გასაუქმებელია. თუმცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მის საქმიანობას, ასე თუ ისე, მაინც აკონტროლებდა. თან, მინისტრის მოადგილის აზრით, ადგილობრივმა საბჭოებმა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებულთა საქმეები უნდა განიხილონ, მძიმე საქმეები კი სასამართლოს გადაეცეს. კახიშვილმა „უდო“-ს კომისიას ზედმეტი რგოლი უწოდა და განაცხადა, რომ მისი გაუქმება ევროსაბჭომაც არაერთხელ მოითხოვა. სამაგიეროდ, არავინ საუბრობს საფრთხეებზე, რაც ადგილობრივი საბჭოების ისედაც გაუმჭვირვალე საქმიანობას კიდევ უფრო ჩაკეტილსა და დაძაბულს გახდის. რომელია პატიმართა საქმეების განხილვის ყველაზე მიუკერძოებელი სისტემა და რატომ არ შეიძლება ამ საქმის მხოლოდ ადგილობრივი საბჭოებისთვის ნდობა — ამ კითხვით „ვერსიამ“ უფლებათდამცველ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს** მიმართა: **„უდო-ს კომისიაში კორუფციული ელემენტები ნამდვილად იყო და მართებულია ეჭვი, რომ ასეთი რამ ადგილობრივ საბჭოებშიც ხდება. ე.წ. უდო-ს კომისიას სააპელაციო ორგანოს სახე ჰქონდა. ამ საბჭოების სახით, ფაქტობრივად, უდო ნარჩუნდება. აქამდე კი იქ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლებოდა. ახლა გვაქვს ორსაფეხურიანი სისტემა, რომლის მიხედვით, საქმეებს ჯერ საბჭოები განიხილავენ, შემდეგ — უდო. ეს სისტემა პროცესს უფრო ჩაკეტილსა და მიკერძოებულს ხდის. თუ განხილვის იდეალურ სისტემაზე ვმსჯელობთ, მაშინ საქმეებს სასამართლო ინდივიდუალურად უნდა იხილავდეს და შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებით, მსჯავრდებულსაც ჰქონდეს ფაქტების წარდგენის საშუალება. ახლა, უბრალოდ, ფორმალურად უქმდება უდო-ს კომისია, თორემ რჩება პირველი ინსტანცია — ადგილობრივი საბჭოები, რაც იგივე შედეგს მოგვცემს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ საბჭოების გაუქმებით, საჯარო და ადმინისტრაციული რესურსებიც დაიზოგებოდა, ამიტომ სჯობს, საქმეები პირდაპირ სასამართლოების ადმინისტრაციულმა კოლეგიებმა განიხილონ, სამინისტროსა და არასამთავრობოების წევრებისგან განსხვავებით, რომელთაც ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლოა, ამა თუ იმ პატიმრის მიმართ კერძო ინტერესი ჰქონდეთ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს დააწვეს — მან უნდა დაამტკიცოს, რატომ არ უნდა გაუშვას მსჯავრდებული, რომელიც მთელი ვადის განმავლობაში არც დასჯილი, მაგრამ არც წახალისებული ყოფილა. სამწუხაროდ, ასეთი საქმეები ხშირად პატიმრის წინააღმდეგ წყდებოდა. სწორედ ამიტომაა საჭირო პროცესში დამოუკიდებელი სასამართლოს ჩართვა“.**

ამ თემაზე „ვერსიის“ კითხვებსა და უფლებათდამცველის პრეტენზიებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, **ალექსანდრე დარახველიძემ** უპასუხა, რომელიც, იმავდროულად, აღმოსავლეთის ნომერ 1 საბჭოს თავმჯდომარეა და თბილისსა და მცხეთაში განთავსებულ საპატიმროთა მსჯავრდებულების საქმეები აბარია:

— როცა მსჯავრდებული კანონით გათვალისწინებულ საშეღავათო ვადას იხდის, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, შუამდგომლობა დაუყოვნებლივ გამოგზავნოს. თუ საბჭო პატიმარს უარს ეტყვის, მისი შუამდგომლობა ყოველ 6 თვეში ისევ გამოიგზავნება, ვადის ამოწურვამდე ბოლო 6 თვეში კი — თვეში ერთხელ.

**— საუბარია პროცესის გაუმჭვირვალობაზე — პატიმარი ან ადვოკატი განხილვას რატომ არ ესწრება?**

— პატიმარი ესწრება მხოლოდ ზეპირ მოსმენას. თუმცა, როცა საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავენ, არ ესწრება, მაგრამ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია. ასევე, შესაძლოა, საბჭომ გასვლითი სხდომა ჩაატაროს და პატიმარს საპატიმროში პირადად გაესაუბროს. პატიმარს კი უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრება 1 თვის ვადაში სასამართლოში შეუძლია.

**— ანუ ე.წ. უდო-ს კომისია შუა რგოლი იყო საბჭოსა და სასამართლოს შორის?**

— არა, ამ კომისიას უფლება ჰქონდა, საბჭოსა და სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, საქმეები საკუთარი ინიციატივით აერჩია და პატიმარი ყოველგვარი კრიტერიუმებისა და კანონების გარეშე გაეშვა. სწორედ ამიტომ გაჩნდა კითხვები, რა კრიტერიუმით არჩევდა კომისია განსახილველ საქმეებს და ამ ბუნდოვანების გასაფანტად კომისიის გაუქმების გადაწყვეტილება მივიღეთ. თუმცა სამინისტრო ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მოდელის გადახედვასაც გეგმავს. ევროკავშირის დახმარებით დავიქირავეთ ექსპერტები, რომლებიც მუშაობას ამ თვის ბოლოს დაასრულებენ. ისინი სხვადასხვა ქვეყნის მოდელებს იკვლევენ და ჩვენი, არსებული მოდელის ხარვეზებს ადგენენ. ძალიან მალე ახალ კონცეფციასაც წარმოვადგენთ. ჯერჯერობით, არსებული საკანონმდებლო პაკეტით, ადგილობრივი საბჭოები უცვლელად დარჩება.

**— გამოითქვა მოსაზრება, რომ ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც თვეში ერთხელ იკრიბება, ისედაც ცაიტნოტში არიან და „უდო“-ს გაუქმებით უარეს დღეში ჩაცვივდებიან. საინტერესოა, დროისა და ფინანსების რა რესურსთანაა დაკავშირებული მათი მუშაობა და რამდენად ასწრებენ ყველა საქმის საფუძვლიანად განხილვას?**

— „უდო“-ს კომისია საბჭოებისთვის საქმეების განტვირთვის საშუალება არანაირად არ იყო. საბჭოებს იგივე საქმე დარჩება, მეტიც, მოაკლდება კიდეც, რადგან „უდო“-ს სხდომის მომზადება აღარ მოუწევთ.

**— უფლებათდამცველები ფიქრობენ, საქმეების პირდაპირ სასამართლოში გადატანა მიუკერძოებლობის მეტ გარანტიას იძლევა. სამინისტრო ამ ვარიანტზე არ ფიქრობს?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს კარგი ვარიანტია. ჯერ ერთი, ერთ-ერთი საბჭოს თავმჯდომარე თავად ვარ და გეტყვით, რომ მისი წევრობა ანაზღაურებადი არ არის. ასევე, ამ პროცესში სასამართლო კომპონენტის ხისტად შემოტანაც არაა გამართლებული — საკითხავია, 5 საბჭოს გასაკეთებელ საქმეს სასამართლო რამდენად მოასწრებს. ამიტომ ისეთ მოდელზე ვფიქრობთ, არც საბჭოები გაუქმდეს და პროცესში სასამართლოც უფრო აქტიურად ჩაერთოს.

**— გვითხარით, როგორია საბჭოების მუშაობის სტატისტიკა და მთავარ ბრალდებას უპასუხეთ — თუკი „უდო“-ს კომისია საქმეებს „ელიტური სიებით“ იხილავდა და სწორედ იმ საქმეებს იღებდა, რაც საბჭოს უკვე განხილული ჰქონდა, რატომ არ შეიძლება, რეგიონულ დონეზე, საბჭოებმა მეტი მიკერძოებულობა გამოიჩინონ?**

— ჩემი საბჭო, თვის განმავლობაში, დაახლოებით 400-500 შუამდგომლობას განიხილავს და აქედან 10-15%-ს აკმაყოფილებს. ხოლო 30-40 მსჯავრდებულს პირადად ვხვდებით. ამ საბჭოებში სამინისტროს უმრავლესობა არ აქვს, გადაწყვეტილებას კი ხმათა უმრავლესობით ვიღებთ, ამიტომ ეს მექანიზმი გავლენისა და კორუფციისგან დაზღვეულია, მით უმეტეს, საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო კონტროლს მაინც გადის.

16 თებერვლიდან 31 მაისის ჩათვლით

თუ გსურთ, გქონდეთ საკრედიტო ბარათი საქართველოში საუკეთესო პირობებით, მაშინ გადმოდით PrimeCard-ზე.




| პირობები | |
|---|---|
| პირველი 6 თვე | 0% |
| პირველი წლის საკომისიო | უფასო |
| ბარათის აღება | უფასო |

PrimeCard-ზე განაცხადის შესავსებად, ეწვიეთ თიბისი ბანკის ან თიბისი კონსტანტას ნებისმიერ ფილიალს, დარეკეთ ქოლცენტრში ან შეავსეთ განაცხადი ონლაინ.

აქციაში ჩასართავად, საჭიროა, გქონდეთ სხვა ბანკის მოქმედი საკრედიტო ბარათი

დამატებითი უპირატესობები:

- 20%-მდე Cash Back 90-ზე მეტ პარტნიორ ობიექტში;
- Smart ქულების დაგროვება;
- ბარათის საკუთარი დიზაინით დამზადების შესაძლებლობა.

მაია მიშელაძე
593-51-90-12



# ექსკლუზიური ინტერვიუ ნოდარ ჯავახიშვილთან

## სქემა, რომლითაც კონკურსებში ნათესავების გამარჯვების „გაპრავება“ ხდება

**იგი ახლა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეა. ამ თანამდებობაზე იმიტომ დანიშნეს, ორწელიწადნახევრის განმავლობაში ვერჩატარებული თუ ჩაშლილი ტენდერები შეისწავლოს, დარღვევები აღმოაჩინოს და ისეთი მექანიზმი შექმნას, რომელიც ამ ხარვეზებს საბოლოოდ აღმოფხვრის. მანამდე ქართუ ბანკის პრეზიდენტი იყო, უფრო ადრე კი... 1993 წლის 11 ოქტომბერს, კორუფციის ბუდედქცეული და იმ პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკის დამანგრეველი, საქართველოს ეროვნული ბანკი ჩააბარეს. სამ თვეში, კანონში ცვლილებები შეიტანა და ქვეყანა „კუპონიზაციისგან“ იხსნა, ეროვნული ბანკი ცივილურ, დასავლურ ყაიდაზე გარდაქმნა, საქართველოს ეკონომიკა კოლაფსიდან გამოიყვანა და ლარის შემოღებას შეუწყო ხელი. დღეს კი, როცა ფინანსური კრიზისის ნიშნები ჩანს, ეკონომიკა შოკშია, ლარის დევალვაცია სახეზეა, რითაც სარგებლობენ შიდა „სპეკულანტები“ და ეროვნული ბანკის გვერდისავლით, კურსს ხელოვნურად ადგენენ, მთავრობის ეკონომიკური გუნდის არცერთ წევრს თავში აზრად არ მოსვლია, მისთვის დაერეკა მაინც და შექმნილ ვითარებაზე აზრი ეკითხა. მას, როგორც მინისტრის მოადგილეს, ამ თემაზე ღიად საუბარი არ შეუძლია. თუმცა „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ნოდარ ჯავახიშვილი ღიად საუბრობს იმ დარღვევებზე, რაც ყბადაღებულ, ჩაშლილ ტენდერებს უკავშირდება და სკანდალურ განცხადებებსაც არ ერიდება.**

**— ბატონო ნოდარ, მინისტრის მოადგილედ 2014 წლის დეკემბრის დასაწყისში დაინიშნეთ, ამ ხნის განმავლობაში, რა დარღვევები გამოიკვეთა ტენდერებში და რა დიაგნოზს დაუსვამთ ამ პრობლემას?**

— ჯერ ინსტიტუციონალური სრულყოფაა საჭირო. შეუძლებელია, გარკვეული უბანი სრულქმნილებამდე მიიყვანო, თუ ინსტიტუტი არ არის ჩამოყალიბებული. ადამიანში ზის ეშმაკიცა და ღმერთიც. არასდროს დადგება დრო, როცა ქვეყანაში არ იქნება ქურდობა, დანაშაული, მაგრამ საზოგადოებისა და ხელისუფლების დანიშნულება ის არის, დანაშაული მინიმუმამდე დაიყვანოს. აქედან გამომდინარე, ერთია, სადამსჯელო ღონისძიებები, რომლითაც შეაშინებ ადამიანს და მეორეა, როდესაც ინსტიტუტს ისე ჩამოაყალიბებ, გულითაც რომ გინდოდეს, დანაშაულს ვერ ჩაიდენ! სამწუხაროდ, ჩაშლილი ტენდერები მხოლოდ ამ სამინისტროს პრობლემა არ არის. საკადრო პოლიტიკით დაწყებული, ბევრი სხვა ნიუანსით გაგრძელებული, ვერ იტყვი, რომ სრულყოფილი ინსტიტუტის ჩამოყალიბების გზაზე, ადეკვატურად მივდივართ. თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში ასეა — დიახ, კადრების შესარჩევად, კონკურსები ტარდება, მაგრამ უმეტესად, ეს კონკურსები ფორმალობაა. როგორც წესი, ადამიანები უკვე დანიშნულები არიან სამსახურებში და ამ კონკურსებით, მაპატიეთ, მაგრამ მათი „გაპრავება“ ხდება. საუკუნეების მანძილზე, ადამიანში შინაგანად დევს ნეპოტიზმის ელემენტები — უარესი თავისიანი, კარგ უცხოს ურჩევნია. ადამიანების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სანდოობაა განმსაზღვრელი და არა პროფესიონალიზმი, მაგრამ მსოფლიოს განვითარებამ დაამტკიცა, რომ ყველაზე სანდო, სწორედ პროფესიონალია.

**— ამბობენ, ქრთამი არასოდეს აგიღიათ, ამას ვერავინ შემოგბედავთ და ამიტომ გენდობათ ბიძინა ივანიშვილი. ტენდერების შესწავლაც იმიტომ დაგავალათ, თუ დარღვევებს აღმოაჩენთ, ჯერ თქვენი მინისტრი დავით შავლიაშვილი, მერე კი პრემიერი მოახსნევინოთ?**

— არა, რას ამბობთ! რასაკვირველია, თუ სერიოზული დარღვევები გამოვლინდა, ხელშეუხებელი ადამიანები არ არსებობენ, მათ შორის, არც შავლიაშვილი და არც ჯავახიშვილი! თუმცა ჩემი აქ დანიშვნის მიზანი ეს არ ყოფილა. პირველივე დღეს, სამინისტროში რომ მოვედი, მინისტრს შევხვდი და ვუთხარი, აქ შენი და სამინისტროს დასახმარებლად მოვედი, ჩემი გამოცდილება გამოიყენეთ-თქო. გზების დაგება არ ვიცი, მაგრამ ზოგადად, სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად, ჩემი ჩამოყალიბებულია. მასში დღესაც ბევრი რამ არ მომწონს, მაგრამ ბოლომდე რომ არ დაინგრა, ჩემი დამსახურებაცაა. იმისთვის, რომ დაგეხმარო, უნდა მითხრა, რა გაწუხებს. სამწუხაროდ, ჯერ ნდობის იმ დონეს ვერ მივაღწიე, ვინმემ კონკრეტულად მითხრას, რა დარღვევები იყო ტენდერებში. ან არ მენდობიან, ან ყველაზე უარესი — ეშინიათ. არადა, სიმართლე იმიტომ კი არ მჭირდება, ვინმე მოვხსნა ან დავიჭირო, არამედ დარღვევა უნდა აღმოვფხვრათ! თუკი ფული კეთდება და ასეთი ფაქტები არსებობს, სწორედ ფულის კეთების საფუძველი უნდა მოვსპოთ და ესაა ჩემი მიზანი! საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად რომ დავინიშნე, 800 კაცი მუშაობდა. მხოლოდ ორი გავათავისუფლე. ეროვნული ბანკი კორუფციის ბუდე იყო, მაგრამ ადამიანების დაჭერა კი არ დავიწყე, შევისწავლე, სად აკეთებდნენ ფულს, ან რატომ იყო მექრთამისთვის საინტერესო ეროვნული ბანკი, ამის შემდეგ ისეთი ცვლილებები გავატარე, კორუფციისა და ქრთამის მიღების ეს გზები ჩავკეტე.

> **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ბევრი ისეთი პროექტია, რაც ჩვენი საქმე არ არის, მაგალითად, „თეთნულდი დეველოპმენტი“. ხომ არსებობს მთის კურორტების განვითარების სააგენტო, წაიღონ ეს პროექტი და მიხედონ! საავადმყოფოებს აშენებს სამინისტრო, არც ესაა ჩვენი საქმე. ამ პროექტებიდან აუცილებლად გამოვალთ, მაგრამ რამდენიმე თვის მანძილზე, ერთობლივად ვმართავთ „თეთნულდ დეველოპმენტს“ იმიტომ, რომ არ გვინდა, სამუშაოები შეჩერდეს. ამ სამუშაოების ნაწილს არც ისე წარმატებით ასრულებს ჩვენივე სამშენებლო კომპანია. კიდევ ერთი საკითხი, სჭირდება თუ არა სამინისტროს სამშენებლო კომპანია? როგორ შეიძლება, სამშენებლო ბაზარზე სახელმწიფო სამშენებლო კომპანია არსებობდეს? მეუბნებიან, ასეთი სიმძლავრე რატომ უნდა დავკარგოთო, მაგრამ რატომ დავკარგავთ, არ მესმის, გავასხვისებთ.**

ამბობენ, ოპერატიული მართვისთვის უკეთესია, სამინისტროს საკუთარი სამშენებლო კომპანია ჰქონდესო, მაგრამ ამავე ლოგიკით, სახელმწიფო ბანკებიც ხომ არ შემოგველო? ეს სწორი მიმართულება არ არის, რადგან თუ ასე გავაგრძელებთ, საბჭოთა კავშირში აღმოვჩნდებით. ამ სამინისტროში, ერთადერთი კაცი ვარ საბჭოური გამოცდილებით, მაგრამ ახალგაზრდები მექაჩებიან საბჭოთა კავშირში!

**— ბოლო დროს, სხვადასხვა უწყებაში ხმაურიანი სპეცოპერაციები გახშირდა. ჯოკია ბოდოკია, ასევე წყალკანალის, შსს-ს თანამშრომლებიც დააკავეს. თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ეს სუსტი მენეჯმენტის ბრალია. სინამდვილეში რა ხდება?**

— შეუძლებელია სახელმწიფო, გნებავთ, კერძო კომპანიის სისტემა ანგელოზებისგან შექმნათ. მაპატიეთ, მაგრამ ეს ოპონენტები ვინ არიან? მასმედია ისეთი რომ არ იყოს, როგორიცაა, ეს ოპონენტები არ იარსებებდნენ. ჩვენ ვაცოცხლებთ ამ დემაგოგებს, წინასწარ ვიცით, რა უნდა გვითხრან, მაგრამ მაინც მათთან მივდივართ. გიმეორებთ, არ დადგება ისეთი დრო, როდესაც ყველა სისტემაში ანგელოზები იმუშავებენ, როდესაც კორუფცია, ქურდობა და მამაძაღლობა არ იქნება! ამ პრობლემას სხვა კუთხიდან შევხედავდი.

> **დიახ, სამართალდამცავ ორგანოებში პრობლემები იყო, მაგრამ იმიტომ, რომ გარკვეულ ეტაპზე, ყბადაღებული კოჰაბიტაცია ინერციით გაგრძელდა. ეს პროცესია და მასში ყოველთვის იქნება ვიღაც, ვისაც ხელი წაუცდება. მახსოვს, შევარდნაძემ მითხრა, რომელიღაც კომერციულ ბანკში, ერთ-ერთ თანამშრომელს ქრთამი აუღიაო. ვუპასუხე, ხალხი მთვარიდან არ ჩამომყავს, ჩვეულებრივი, ქართული, ტრადიციული წესით იზრდებიან-მეთქი. სხვა ამბავია, რა დონეზეა ამ ტიპის დანაშაული, ან სძალავს პატიოსან ადამიანებს, თუ არა.**

თუმცა, რაც უნდა გააკეთო, ის ე.წ. ოპონენტები, ყოველთვის საწინააღმდეგოს დაინახავენ, რადგან ეს არ არის პოლიტიკური ჯგუფების კლასიკური გაგებით და ქვეყნის სასარგებლოდ დაყოფა. თქვენი მკითხველიც მიხვდება, კონკრეტულად ვის ვგულისხმობ ოპონენტებში, ისინი ქვეყნის მტრები არიან.

**— დაჭერების თემას განვაგრძობ, ჯერ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე გიორგი კობერიძე მოხსნა პრემიერ-მინისტრმა, რამდენიმე დღის წინ, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი ჯავახიშვილი. მათი მოხსნაც ჩაშლილ ტენდერებს უკავშირდება?**

— ჯავახიშვილზე ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცი, რატომ მოხსნეს. კობერიძესთან დაკავშირებით კი გასაანალიზებელია ის, რაც დაიწერა. თავიდან ტელევიზიით გავრცელდა, რომ გზების დეპარტამენტში ჩატარებულ ტენდერებში გამოვლენილი დარღვევების გამო მოხსნეს. ეს ვერსია არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად გაჟღერებულა. ტენდერები მე მაბარია. გარწმუნებთ, გიორგი კობერიძეს არანაირი კავშირი და შეხებაც კი არ ჰქონია გზების ტენდერებთან. საინტერესოა, რა მიზნით გაავრცელეს ეს ინფორმაცია. შესაძლოა, მინისტრს „აწვებიან“, რომ ნოდარ ჯავახიშვილი მოვიდა და ის მოადგილე მოახსნევინა, რომელიც თითქოს გზების ტენდერს კურირებდა. ეს ვერსია უსაფუძვლოა. გარდა ამისა, თუ ნოდარ ჯავახიშვილი მოვიდა და გზების ტენდერებიდან კობერიძე მოახსნევინა, ეს ნიშნავს, რომ დარღვევა აღმოაჩინა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ასე არ ყოფილა. კობერიძე საქართველოს გაერთიანებული წყლის კომპანიაში მართლაც მუშაობდა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ტექნიკური დირექტორი იყო და ფინანსური გადარიცხვები არ ეხებოდა. სამინისტროში არავის უთქვამს, რომ ბატონი გიორგი რაღაცით შეიძლებოდა წყალკანალის ამბავთან ყოფილიყო კავშირში. ამ დროს კი ტელევიზიით ისეთი ინფორმაცია გადის, რომელიც გარკვეულ მიზანს ემსახურება.

**— ბატონო ნოდარ, ფაქტია, რომ წყალკანალის თანამშრომლები დააკავეს, რასაც მინისტრის მოადგილის, გიორგი კობერიძის მოხსნა მოჰყვა. ეს ორი მოვლენა რომ დავაკავშიროთ და კითხვა დავსვათ, ამის უფლება არ გვაქვს?**

— რასაკვირველია, გაქვთ. თუმცა, თუ არ იცით, მინისტრის რომელი მოადგილე კურირებს „საქართველოს გაერთიანებულ წყალკანალს“, მაშინ ყველა მოადგილეზე ერთნაირი ეჭვი უნდა გაგიჩნდეთ, ხომ ასეა? გიორგი კობერიძე წყალკანალში მუშაობდა, მაგრამ მინისტრის მოადგილის პოზიციაზე, ამ სფეროსა და ტენდერებს არ ხელმძღვანელობდა.

**— ორწელიწადნახევრის განმავლობაში, ჩაშლილი ტენდერები ქართული ოცნების „აქილევსის ქუსლად“ იქცა. თქვენს დანიშვნას ეს მოვლენები უსწრებდა: სწორედ ეს სამინისტრო იყო ერთ-ერთი, რომელმაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ჩაშლილი ტენდერების გამო ვერ აითვისა. თუკი 2013 წელს ტენდერები იმიტომ ჩაიშალა, რომ არჩევნების შემდეგ, ახლადდანიშნულ მინისტრებს ახალი ტენდერები უნდა გამოეცხადებინათ, 2014 წელს რა პრობლემა შეიქმნა, რატომ ჩაიშალა?**

— მხოლოდ კითხვა არ უნდა გაჩნდეს, სფეროს ანალიზიც აუცილებელია. გასარკვევია, ტენდერი რომ ჩაიშალა, ცუდია თუ კარგი. დღესაც ბევრი ტენდერია, სადაც ერთადერთი ორგანიზაცია მონაწილეობს.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

ვერსიანიუსი

## საქართველო ევროკავშირის პროგრამის Creative Europe-ის წევრი გახდა




ბრიუსელში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ევროკომისარმა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხებში ტიბორ ნავრაჩიჩმა შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების მიხედვით საქართველო ევროკავშირის პროგრამა Creative Europe-ის („შემოქმედებითი ევროპა“) წევრი გახდა. ხელმოწერის ცერემონია ევროკომისრის ოფისში გაიმართა. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან საქართველო პირველია, რომელიც აღნიშნული პროგრამის წევრი გახდა. Creative Europe („შემოქმედებითი ევროპა“) წარმოადგენს ევროკავშირის 6-წლიან პროგრამას, რომელიც ევროპული კულტურის, აუდიოვიზუალური, საშემსრულებლო თუ სახვითი ხელოვნების, საგამომცემლო, კინო, ტელე, მუსიკის, ინტერდისციპლინარული ხელოვნების, კულტურული მემკვიდრეობისა და ვიდეოთამაშების ინდუსტრიის მხარდასაჭერად შეიქმნა. პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“, მონაწილეობა შეუძლია კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნიან პროექტებს კულტურისა და მულტიმედიის სფეროში. Creative Europe-ის პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 1,46 მილიარდ ევროს შეადგენს, რომელიც 6 წლის განმავლობაში (2014-2020 წწ-ში) მოხმარდება კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსებას. დაფინანსების მეშვეობით, საქართველოში არსებულ კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ — იმუშაონ ევროპის მასშტაბით, წარდგნენ ახალი მაყურებლის/მსმენელის წინაშე და ევროპელ პარტნიორებთან ერთად განახორციელონ ერთობლივი პროექტები. პროგრამა Creative Europe-ის („შემოქმედებითი ევროპა“) წევრად გახდომა, ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესში საქართველოსთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

*„პირველი“*

მე-6 გვერდიდან

**მინდა, გავერკვე, მაგრამ მითხარით, როგორ, როცა ტენდერში მონაწილე არც ერთი კომპანიის წარმომადგენელი არ მოსულა და არ უთქვამს, რომ ვინმე ტენდერში მონაწილეობას უკრძალავდა, ან უკრძალავს. როცა ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, სატენდერო კომისია დისკვალიფიკაციას მისცემს და ტენდერს ჩაშლის. აბა, რა უნდა ქნას? ჟურნალისტები წერენ, რომ ვიღაცები აშინებენ ტენდერში მონაწილე კომპანიებს, არ უშვებენ ტენდერებში, მაგრამ იმას აღარ წერენ, ვინ არ უშვებს, ან ვის არ უშვებენ. ადამიანებს ვეხვეწები, თუ ასეთი ფაქტები ხდება, მითხარით. ახლაც, თქვენი გაზეთის საშუალებით, მივმართავ, მოდით, მითხარით და გარანტიას გაძლევთ, რომ დაგიცავთ! მიკვირს, რატომ არ მენდობიან, ესე იგი, რაღაცის ეშინიათ, ხომ?**

გზებთან დაკავშირებით, ბევრ ზოგად ფაქტს მეუბნებიან, სადაც ფული გადახდილია და ასფალტი დაგებული არ არის, მაგრამ ამას თუ მეუბნები, ისიც მითხარი, კონკრეტულად რომელ გზაზეა საუბარი. ნუ მეტყვი, ვინ ხარ, ოღონდ, გზის კონკრეტული მონაკვეთი დამისახელე, წავალ და ვნახავ! ზოგადი საუბრები არაფერს მაძლევს, გულით მინდა ამ პრობლემის მოგვარება, ვიღაცის სამსახურიდან გაგდება და დაჭერა კი არა! ამდენი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ვთანამშრომლობთ, თქვენც გპირდებით და ქართულ საზოგადოებასაც, რომ არც ერთ საკითხს არ დავტოვებ ყურადღებისმიღმა. თუ კონკრეტული კომპანიის წარმომადგენელი არ მოვიდა ჩემთან და კონკრეტული ფაქტის შესახებ არ მიამბო, რა რეაგირება მოვახდინო, ან როგორ? შესაძლოა, ვინმე შლის ტენდერს, მაგრამ ეს არაოფიციალური ინფორმაციაა, საიდან უნდა გავიგო, თუ ვიღაცამ არ თქვა? თუ გვინდა წესრიგი, ჟურნალისტებმაც დაარქვით სახელი ყველაფერს და მომჩივნებმაც, რადგან ზოგადი ინფორმაციებიდან დასკვნას ვერ გავაკეთებ.

— **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დასკვნის მიხედვით, მხოლოდ ამ სამინისტროში ჩატარებული 400 ტენდერიდან, 126-ში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა, ტენდერში გამარჯვებულთა შორის იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, დავით გალეგაშვილისა და პარლამენტარ სერგო ხაბულიანის კომპანია „ცეკური“, რომელშიც ხაბულიანი 62%-იან წილს ფლობდა. შპს „ცეკურმა“ ორ წელში, 2 000 000 ლარის ღირებულების ორი კონტრაქტი მოიგო, აი, ამ ფაქტებს რა დაარქვა?**

— მაშინ უნდა მივიღოთ კანონი, რომ თუ სახელმწიფო ჩინოვნიკი რომელიმე კომპანიის დამფუძნებელია, ტენდერში მონაწილეობის უფლება არ აქვს. თუ ეს ორგანიზაცია შესაბამისი სიმძლავრისაა, რომელიც ტენდერის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, როგორ უნდა ვიმოქმედო მის წინააღმდეგ? კომპანია ტენდერიდან მხოლოდ იმიტომ უნდა მოვხსნა, რომ გალეგაშვილი მისი დამფუძნებელია? ამის გამო გალეგაშვილი რომ დაგიკავშირდეთ, უზარმაზარ სტატიას დაწერთ, მხოლოდ იმიტომ მოხსნეს ტენდერიდან კანონის საწინააღმდეგოდ, რომ კომპანია მინისტრის მოადგილემ დააფუძნაო. ამიტომ როცა რაღაც ფაქტს ხაზს უსვამთ, ისიც მითხარით, სად არის აქ კანონდარღვევა.

— **რას ამბობთ? კანონით, დეპუტატსა და სახელმწიფო მოხელეს უფლება არ აქვს, კომპანიაში წილს ფლობდეს. „გამჭვირვალობამ“ იმ დეპუტატების სიაც გამოაქვეყნა, რომლებიც ამა თუ იმ კომპანიაში წილებს ფლობდნენ და თან, ეს კომპანიები დეკლარირებული არ ჰქონიათ!**

— მაპატიეთ, მაგრამ სად სვამთ ამ საკითხს? ჯერ ერთი, კანონით, დეპუტატი თვითონ არ უნდა მონაწილეობდეს კომპანიის მართვაში და წილები უნდა გადააფორმოს. ვთქვათ, კანონი ზუსტად ამას ითვალისწინებს, ინფრასტრუქტურის სამინისტროში არკვევთ ამას? სამართალდამცავი ორგანოები არსებობს, თუ პარლამენტარს ღიად არ აქვს უფლება, კომპანიას მართავდეს და ეს დამტკიცებულია, პარლამენტში შესაბამისი კომისიები არსებობს, რომლებმაც ზომები უნდა მიიღონ, მოუხსნან იმუნიტეტი, გაათავისუფლონ პარლამენტიდან და მიაბრძანონ, სადაც ჯერ არს! როგორ გგონიათ, ტენდერიდან უნდა დაიწყოს კანონიერების აღდგენა და იმის გარკვევა, უნდა ჰქონდეს თუ არა დეპუტატს ბიზნესი?

— **კანონიერების აღდგენა შესყიდვების შესახებ კანონში ცვლილებებით უნდა დაიწყოს, მაგრამ ჯერ შპს „სერპანტინზე“ გკითხავთ, რომელიც თქვენი სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობდა. ორ წელში, ამ კომპანიამ 24 მილიონი ლარის ღირებულების 6 ტენდერი მოიგო, „სერპანტინის“ წილების 52%-ს კი თამარ ჯანყარაშვილი ფლობს, რომელიც შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, გიორგი ზედელაშვილის დედაა.**

**— ვინ ვისი დედაა, აქ ეს საკითხები უნდა ვარკვიო? ჩემი მოსვლის შემდეგ, ორი ტენდერი ჩატარდა და ორივეგან „სერპანტინმა“ გაიმარჯვა. მინისტრმაც მითხრა, ამ კომპანიაზე ისეთი ამბავია ატეხილი, იქნებ, დისკვალიფიკაცია მივცეთო, მაგრამ რა მოტივით? მინისტრს ვუთხარი, ეს ისეთივე დარღვევა იქნება, როგორც ის, რომ კომპანიას დაუმსახურებლად გავამარჯვებინოთ-თქო. ეს საკითხი დეტალურად შევისწავლე და დავასკვენი, რომ ორივე ტენდერი „სერპანტინმა“ დამსახურებულად მოიგო. ჩვენ გვჭირდება საქმე, ვინ ვისი დედაა, ამით ხომ არ განისაზღვრება კომპანიის გამარჯვება?**

მაინც დავინტერესდი, დავურეკე ამ ტენდერში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებს და ვუთხარი, ვინმემ ხომ არ შეგაშინათ-თქო? ერთ-ერთმა მითხრა, რომ სიმძლავრე არ ეყო და ტენდერი ამიტომ წააგო.

ვუთხარი, იქნებ, სატენდერო მოთხოვნებში მაღალი კრიტერიუმები არსებობდა, რაც სპეციალურად იყო კონკრეტულ კომპანიაზე მორგებული, მაგრამ მიპასუხა, რომ ასე არ ყოფილა. დავმშვიდდი, რადგან ჩავთვალე, ყველაფერი პატიოსნად ჩატარდა, ამის შემდეგ კი არაოფიციალურად მითხრეს, რომ ისინი შეშინებულები იყვნენ და სიმართლე არ თქვეს. მაპატიეთ, სად წავიდე ასეთ დროს? გამოძიების რა საშუალება არსებობს იმის დასადგენად, შეაშინეს ეს ადამიანები თუ არა, თუკი თვითონვე არ თქვეს? მეუბნებით, რომ ტენდერში „სერპანტინმა“ გაიმარჯვა, მაგრამ ამიხსენით, ამით რა დაშავდა? ამბობთ, რომ კომპანიის დამფუძნებელია მინისტრის მოადგილის დედა, მაგრამ მე, სახელმწიფო ჩინოვნიკმა, როგორ დავბლოკო კომპანია, რომლის დამფუძნებელი ვიღაცის დედაა?

— **ბატონო ნოდარ, დამეთანხმეთ, რომ ელექტრონული შესყიდვების შესახებ კანონში ცვლილებებია შესატანი.**

— არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იქნება კანონი და ტენდერების ჩატარების წესი, თუ ტენდერში მონაწილე კომპანიებს სატელეფონო ზარებითა და შანტაჟით აშინებენ! მზად გვაქვს ცვლილებების პროექტი, მაგრამ ჯერ ტენდერებში არსებული დარღვევების საქმე ბოლომდე უნდა გაიხსნას! მაგალითად, სხვადასხვა უწყებაში ჩატარებული კონკურსები ავიღოთ, კანონით, ისინი სწორად ჩატარდა. თუმცა, თუ პირობითად, ჩემი ბიძაშვილი, ან ახლობელი, რომელიც დროებით, მოვალეობის შემსრულებლად მყავს დანიშნული, მინდა, რომ კონკურსით „გავაპრავო“, გამოვაცხადებ კონკურსს, სადაც 150 კაცი მოვა, მაგრამ კონკურსის ერთ-ერთ პირობაში რომელიმე, უნიკალური კომპიუტერული პროგრამის ცოდნის



აუცილებლობას ჩავდებ. ამას შეგნებულად ვაკეთებ, ოღონდ ვისი „გაპრავებაც“ მინდა, მას ვეტყვი, CV-ში ჩამიწერე, რომ შენ ეს პროგრამა იცი, სხვას ასეთი რამ არ ეწერება. კომისიის ხუთი, პატიოსანი წევრი გადახედავს კონკურსანტების CV-ებს და კანონის სრული დაცვით, სამსახურში ჩემს ბიძაშვილს დატოვებს.

— **ტენდერის პირობები კონკრეტულ კომპანიაზე რომაა მორგებული, სწორედ ამაშია პრობლემა!**

— არ არის მორგებული, რადგან მოთხოვნები არითმეტიკული სიზუსტითაა უნიფიცირებული. პირობები და კრიტერიუმები ყველასთვის საერთოა, ანუ ეს საკითხი მოგვარებულია. თუმცა ვიდრე არ გვეცოდინება, ტენდერის შიგნით რა მექანიზმი მუშაობს, ვინ ვის აშინებს, პრობლემა არ მოგვარდება. არსებული პირობები ტენდერის ნორმალურად ჩატარებას ხელს არ უშლის, მაგრამ ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი საპროექტო ორგანიზაციაა საქართველოში, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროექტო ნაწილში, კონკურენცია არ არის. ტენდერის რამდენიმე მონაწილემ თქვა, სამინისტროში შექმენით საპროექტო ორგანიზაციაო, მაგრამ ასეთი წყობა უკვე გვქონდა, ყველა საპროექტო სახელმწიფო იყო, საბჭოთა სისტემიდან გამოვედით და ახლა ისევ იქ უნდა დავბრუნდეთ? ბევრი პრობლემაა, რასაც დღეს და ხვალ ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ ახლა ვფიქრობ, იქნებ, პროექტი საერთოდ არ გავაკეთოთ. სამაგიეროდ, ტენდერში 5-6 აუცილებელ პარამეტრს ჩავდებთ, რომ თუ პირობითად, გზას ვაგებთ, განვსაზღვროთ, როგორი გზა გვინდა. ტენდერის მონაწილე კომპანიებმა გააკეთონ პროექტიც და რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით აიღონ გარანტია, რომ გზასაც დააგებენ და პირობითად, 10-15 წლის მანძილზე, მოუვლიან კიდეც. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულები იქნებიან, რომ რასაც გააკეთებენ, ხარისხიანად გააკეთონ. თურმე, ეს ჩემი მოგონილი არ არის, მინისტრს, დავით შავლიაშვილსაც უფიქრია ამაზე და გუდაურის მიმართულებით ერთი, კონკრეტული პროექტი ამ პრინციპით კეთდება. სატენდერო დოკუმენტაციის სრულყოფა კი არა, ინსტიტუციონალური სრულყოფაა აუცილებელი, როდესაც ისეთ პროდუქტს შევთავაზებთ, სადაც მოპარვა შეუძლებელი იქნება.



## ალექსანდრე მარგიშვილი მარტიდან მერის მოადგილის თანამდებობას დატოვებს

როგორც თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ განაცხადა, ვიცე-მერი ალექსანდრე მარგიშვილი მეწარმეობის განვითარების ცენტრს უხელმძღვანელებს: **„2015 წლის მარტის პირველ ნახევარში შეიქმნება ცენტრი, რომელსაც, მერის დავალებით, ალექსანდრე მარგიშვილი უხელმძღვანელებს. მას შემდეგ, რაც ეს ცენტრი ოფიციალურად შეიქმნება, მარგიშვილი თანამდებობას დატოვებს“.**

ამასთან, როგორც დედაქალაქის მერმა განაცხადა, დღევანდელი განცხადება არ უკავშირდება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მარგიშვილი თანამდებობიდან გადადგა. ალექსანდრე მარგიშვილთან მოლაპარაკებები ბოლო ხანებში მიმდინარეობდა: **„გავრცელებული ინფორმაცია, მოადგილეების გადადგომის შესახებ, ამ ამბავს არ უკავშირდება. ამ საკითხზე მარგიშვილთან მოლაპარაკება ბოლო 3 თვეა, მიმდინარეობს“.**

ბოლო რამდენიმე დღე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თბილისის მერის მოადგილეებმა — ალექსანდრე მარგიშვილმა და გიორგი ხელაიამ თანამდებობები დატოვეს.

*„პირველი“*




## ბანკებმა ერთ კვირაში დოლარში არსებული სესხების მომსახურების შემსუბუქების გეგმა უნდა შეიმუშაონ

აღნიშნული გადაწყვეტილება ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მიიღეს. ქადაგიძის განმარტებით, სესხის მომსახურების შემსუბუქება იმ პირებს შეეხება, ვისაც სესხი დოლარში აქვთ, შემოსავალი კი ლარში. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, მიდგომები ინდივიდუალური იქნება და ამასთან დაკავშირებით, პრეტენზია არც ერთ კომერციულ ბანკს არ გამოუთქვამს.

**„ჩვენ განვიხილეთ, როგორ შევუმსუბუქოთ ტვირთი მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც სესხი დოლარში, შემოსავალი კი ლარში აქვს. ბანკებს დაევალათ, ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ გეგმები, სადაც აისახება, რა მიდგომები ექნებათ ასეთ კლიენტებთან, რათა ისინი მაქსიმალურად მოქნილები იყვნენ. საუბარია სესხის ვადიანობის გაგრძელებაზე, სხვა ტიპის რესტრუქტურიზაციაზე, რათა ყოველთვიური სესხის მომსახურების თანხა ასეთ ადამიანებს შეუმცირდეთ და შვება იგრძნონ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს საკითხის ფუნდამენტური მოგვარება არაა, მაგრამ, ვიდრე არ აღდგება სავალუტო შემოდინებები და ფუნდამენტური ფაქტორები, როდესაც ლარს გამყარების ტენდენცია ექნება, ეს მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვისაც დოლარში სესხი აქვს, გარკვეული შვება იქნება“,** — განაცხადა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, ერთი კვირის თავზე, როცა ბანკები გეგმებს წარმოადგენენ, სრული სურათი შეიქმნება, თუ როგორ შეიძლება, მოსახლეობას სესხის მომსახურება შეუმსუბუქდეს: **„საუბარია ფიზიკურ პირებზე, რომლებზეც ყველაზე მეტად იქონია გავლენა კურსის გაუფასურებამ. სესხების აბსოლუტური უმრავლესობა კომერციულ ბანკებზე მოდის და ჩვენი კომპეტენციაც მათზე ვრცელდება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ქართული კანონმდებლობით არ კონტროლდება, ამიტომ მათზე გავლენა არ გვაქვს. ყველა კორპორატიულ კლიენტს, მათ შორის კომერციულ ბანკებს, ევალებათ, იყვნენ სოციალურად პასუხისმგებლიანი და რა თქმა უნდა, არც ერთ ბანკს ამასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს. ზოგიერთ მათგანს ამ მიმართულებით მაქსიმალური მოქნილობა მანამდეც ჰქონდა დაგეგმილი“.** ქადაგიძისვე თქმით, ბანკების ინტერესშიც შედის, რომ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც თავისი შემოსავლიდან გამომდინარე, თავისი სესხების მომსახურება გაუჭირდებათ, ამგვარი ნაბიჯები გადადგან.

*„პირველი“*

პატიმარი №0578

# მამა-შვილის დაპირისპირება ზონაზე

## რატომ არ შეუშვა აზერბაიჯანელმა მაგამედამ მამა თავის კამერაში და როგორ გაათავისუფლა ბარიგობისთვის სასჯელმისჯილმა შვილი ციხიდან



სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხვედრილი ოჯახის წევრები, როგორც წესი, ერთად ყოფნას ცდილობენ. ამით ერთმანეთს ყოფას უმსუბუქებენ, მაგრამ არის გამონაკლისებიც. სწორედ ამ გამონაკლისი შემთხვევების გამო უჩნდებათ პატიმრებს რაღაც კითხვები, რომელსაც შემდეგ კონფლიქტი მოჰყვება. მარნეულელი მაგამედა ყაჩაღობაზე დაიჭირეს. სასამართლომ 14 წელი არ დაამადლა და ისიც ჯერ გლდანში, შემდეგ კი რუსთავის №17 ზონაში მოხვდა. სხვა აზერბაიჯანელებს მაშინვე გაემიჯნა, ძირითადი ნაწილი წამლის გაყიდვაზე ზის, მე კაიბიჭი ვარ და ამიტომ, ისე არ შემომხედოთ, როგორც ამათო. მაყურებლებმაც მაგამედა გვერდით დაიყენეს, რაღაცებს ავალებდნენ და ყველა ბედნიერი იყო, თუმცა...

„მაგამედ, გუშინ ტელევიზორს უყურე? შენი სოფლელი დაიჭირეს ბარიგობაზე. აქ მოიყვანენ ალბათ, ვზროსლი კაცია“, — უთხრა ერთ დღეს მაგამედს პატიმარმა №0578-მა.

აზერბაიჯანელმა ჩუმად თქვა, ჰო, ვნახეო, მერე შეიგინა, მერე კიდევ შეიგინა და აზერბაიჯანულად რაღაც ჩაილაპარაკა.

„რა დაგემართა? ნათესავი ხომ არ არის?“ — ჰკითხა №0578-მა.

„ნათესავი? და ვის უნდა მასეთი ნათესავი? მოვკლავ, აქ თუ მოიყვანეს. მამაჩემია“, — გაბრაზებით თქვა აზერმა.

რამდენიმე თვის შემდეგ მაგამედას მამა, ქაზანფარა რუსთავის №17 ზონის ბინადარი გახდა. სასამართლომ ნარკოტიკის შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით 23 წელი მიუსაჯა. ამ 23 წლიდან, მამა-შვილს ერთად მინიმუმ 14 უნდა გაეტარებინა, მაგრამ...

„გაგიჟდი, მაგამედ? მამაშენია, შენს კამერაში იყოს, მიხედე, ჭკუა დაარიგე. მაგასაც სხვა ბარიგებივით გაწეწვას ხომ არ დავუწყებთ? რატომ ამბობ, ჩემს კამერაში არ ავიყვანო?!“ — მაყურებლები აზერბაიჯანელს თავის კამერაში ესაუბრებოდნენ.

„ყველა ბარიგა ერთნაირია და ერთნაირად უნდა იხმარო. მერე რა, რომ მამაჩემია. ჩემი ოჯახი, ქურდული ცხოვრება და თქვენ ხართ. სხვა ოჯახი არ მყავს. ბარიგების კამერაში შეაგდეთ. მაგანაც ისე იხადოს და იცხოვროს, როგორც დანარჩენებმა“, — არ ცხრებოდა მაგამედა და მაყურებლებმაც ველარაფერი თქვეს. მითუმეტეს, ეს ვარიანტი ზონაზე სიმშვიდისთვის აშკარად უფრო აწყობდათ. მაგამედამ მამას მისალმებაც კი აუკრძალა. უთხრა, შვილი აღარ გყავსო. ისიც ბედს დაემორჩილა და ბარიგების კამერაში დაიდო ბინა.

რამდენიმე კვირის შემდეგ მაყურებლები ბარიგების საკანში შევიდნენ. „სვაბოდაზე“ ვიღაც კრიმინალის ოპერაციისთვის 20 ათასი ევრო იყო საჭირო და ეს თანხა უნდა მოეგროვებინათ. მაყურებელმა მშვიდად ჩამოაყალიბა რა, როგორ უნდოდა და ისიც თქვა, საღამოს მითხარით, ვინ რამდენს ჩამოხვალთო.

„მე არაფერს ჩამოვალ. საშუალება არ მაქვს. სამი შვილი მყავს გარეთ და ჩემი ცოლი მწვანილის გაყიდვით არჩენს. ჩემგან ნურაფერს ელოდებით“, — გამოაცხადა ქაზანფარამ.

„რაა? არაფერი გაქვს? შე ბოზო, მანქანა ხომ გყავს? 23 წელი აქ უნდა ეგდო და ვის სჭირდება ის მანქანა? შენი ცოლი ვერ ივლის და შენი გოგოები. მანქანა გაყიდე და ფული მოიტანე თორემ დაილეწები“, — ქაზანფარას საკუთარმა შვილმა, მაგამედამ შეუტია.

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ჩუმად თქვეს, საღამომდე ჩამოყალიბდით, ვინ რამდენს იხდითო და კამერიდან გავიდნენ. საკანში მისულებმა ხმა ვერ ამოიღეს, ჩუმად უყურებდნენ მაგამედს, თუმცა დუმილი №0578-მა დაარღვია.

„თქვენი არ ვიცი, უფრო სწორედ, იმ ფილოსოფიის, თქვენ რომ თავს დებთ, მაგრამ ჩემი აზრით, ადამიანური აზრით, მაგამედა სწორად არ იქცევა. მამამისს უხურებს და საკუთარი დები და დედა ფეხებზე კიდია. იმ კაცს მანქანა ჰყავს თუ ტანკი, ამის გარდა არავინ იცოდა და იმ მანქანის გაყიდვის შემდეგ შიმშილით რომ დაიხოცოს ის ხალხი, პასუხისმგებელი ვინ იქნება?!“ — იკითხა №0578-მა.

„არ დაიხოცებიან. მთელი ცხოვრება წამალს ყიდდა და სახლში იმდენი ოქრო აქვს, შეიძლება ბანკში არ იყოს. არაფერი მოუვა, ვიცი, რასაც ვაკეთებ“, — თქვა მაგამედამ.'

„მოიცა, კითხვა გამიჩნდა“, — ხმაში სუსხი გაურია №0578-მა. „თუ იმას ამბობ, რომ მთელი ცხოვრება წამალს ყიდდა, აქამდე რატომ არაფერი უთხარი? მაინცდამაინც უნდა დაეჭირათ და ერთად უნდა მოხვედრილიყავით, რომ გაგეჭედა, თუ მაშინ მამა არ იყო? ვერ ვხვდები და ამიხსენი“...

„შენ რატომ უნდა აგიხსნა? მაყურებლები აქ არიან, არაფერს მეკითხებიან და კითხვას შენ სვამ. ეს სადაური წესია?!“, — გააპროტესტა მაგამედმა.

„ჩვენც გვაინტერესებს. თუ იცოდი, წამალს რომ ყიდდა, რატომ არაფერი მოიმოქმედე და თუ ვერაფერს აკეთებდი, სახლიდან რატომ არ წახვედი? პრისტუპნიკისთვის, სადაც დაღამდება, ყველგან სახლია და შენ ეს იცი“, — ჩაერია მაყურებელი.

„რა უნდა მექნა? რამდენჯერმე ვცემე მაგრად, მაგრამ არ დამიჯერა. პოლიციაში ხომ არ ჩავუშვებდი?!“ — გაბრაზდა მაგამედა.

„მოიცა... იცი, რა მაინტერესებს? შენ სულ იპარავდი და მაყუთი სულ გქონდა, თუ ხანდახან მამაშენსაც ართმევდი ფულს? როგორც ვიცი, მანქანა შენც გყავდა და შენი ფულით იყიდე? მოპარული ფულით თუ წამალი რომ გაიყიდა, იმ ფულით გულაობდი?!“ — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„მე მთელი ცხოვრებაა ვიპარავ და ჩემი ფული სულ მქონდა“, — წართმეული ხმით თქვა მაგამედამ.

„მე შემიძლია, მამაშენს ვკითხო და იტყვის. მერე, შენ თუ იტყვი, რომ იტყუება, იმის დეტალებში ახსნა მოგიწევს, მაყუთი სად იშოვე და როცა მოპარულ ფულს დაასახელებ, მარტივად გადავამოწმებთ, მართლა მოხდა თუ არა ქურდობა ან ყაჩაღობა, მართლა დაიკარგა თუ არა კონკრეტული თანხა და რაც მთავარია, ეგ ყველაფერი პადელნიკებმაც უნდა დაგიდასტურონ“, — პატიმარი №0578 აშკარა იერიშზე გადავიდა.

„სახლში სხვა შემოსავალიც გვქონდა, იქ მიწა იყო გაქირავებული, იქ საქონელი გვყავდა. მარტო ბარიგობიდან არ ცხოვრობდა ოჯახი“, — მაგამედა ბოლომდე მოტყდა.

„და შენ რას ამბობ? მიწისა და საქონლის ფულს ცალკე დებდით და წამლის გაყიდვიდან აღებულს ცალკე ინახავდა მამაშენი და იმას არ კიდებდი ხელს?!“ — საუბარში უკვე მაყურებელი ჩაერია.

„არა, ასე არ იყო, მაგრამ... მე ბარიგობიდან აღებული ფული არ დამიხარჯავს. ხომ დაინახეთ, ჩემს კამერაშიც კი არ ავიყვანე, ყველა ბარიგა დასაბრედია“, — ისევ გაილაღა მაგამედამ.

„ჰოდა, ახლა წახვალ, მამაშენს იმ კამერიდან გამოიყვან, შენთან აიყვან და ცივ ნიავს არ მიაკარებ. თუ ეს არ გაწყობს, მაშინ შენ ჩახვალ იმ კამერაში. ბოლოსბოლოს, მამაა შენი და აზრზე მოდი. სისულელეებს შეეშვი და როცა რამე თემაა ხოლმე, მამაშენს რომ ტისკავ, ჯერ იმაზე იფიქრე, რომ მაგასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდი და ერთად ჭამდით და სვამდით და ბარიგა თუ იყო, გარეთ იყო, ახლა პატიმარია. გაიგე?!“ — ჩამოუყალიბა მაყურებელმა.

მაგამედამ თავი დაუქნია და კამერიდან წელმოწყვეტილი გავიდა. ერთ საათში ქაზანფარა შვილის კამერაში ავიდა და ნარზე ფადიშაჰივით გაიშოტა.

„იცი, შენთან საქმე მაქვს“, — ამ ამბიდან მეორე დღეს ქაზანფარამ №0578-ის კამერის კარი შეაღო.

„მოდი, დაჯექი“, — უთხრა პატიმარმა.

„იცი... მე შენ გიცნობ. თან დიდი ხანია გიცნობ. შენთან ნაქეიფარიც ვარ“, — გაუღიმა ბარიგამ.

„რაა? მეხსიერებას არ ვუჩივი და აქ მართლა პირველად გნახე. ან ვილაცაში გეშლები, ან მატყუებ“, — გაეღიმა №0578-ს.

„არა, არც გატყუებ და არც მეშლები. მამაშენთან ერთად ვმუშაობდი და პერერივზე სახლში თქვენთან მოვდიოდი ხოლმე. შენ მაშინ პატარა იყავი, არ გემახსოვრება, მაგრამ ის „ტრიციტადინი“ ხომ გახსოვს, მამაშენმა იაფად რომ იყიდა? მე ვაყიდინე, წამალში დამიტოვეს, შემრჩა და იაფად მივეცი რა“, — გაიღიმა ქაზანფარამ.

„ჰო, ეგ მახსოვს. სახელიც მახსოვს, ქაზანფარა და იცი კიდევ რა მახსოვს, მამაჩემი ამბობდა, მაგის შვილი ცოტა ურევს, დატანჯა კაციო, მაგრამ შვილს გაგას ეძახდა“, — უთხრა №0578-მა.

„ჰო, ქართულად დაარქვა გაგა, ისე მაგამედა. ეგ არის რა“, — გაიცინა ქაზანფარამ.

„კარგია, რომ გამახსენე. იმედია, გაგა დაჭკვიანდება და შენც შეეშვები იმას, რისთვისაც 23 წელი მოგართვეს“, — უთხრა №0578-მა.

ქაზანფარას არაფერი უთქვამს, კამერიდან ისე გავიდა.

* * *

ორიოდე წლის შემდეგ, ქაზანფარამ ნაცნობების მეშვეობით გადაწყვიტა, თავის საქმე მოეგვარებინა, თუმცა პასუხი ასეთი იყო — ციხიდან ან მამა უნდა გასულიყო, ან შვილი, ორივეს გაშვება არ იქნებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ქაზანფარას ერთი წუთითაც არ უფიქრია, ისე დაადო მაგამედას ხელი და შვილი თავისუფლებაზე გაუშვა. თავად კი სასჯელს დღემდე იხდის და ციხიდან №0578-ის მამასაც ეხმიანება ხოლმე, თავის ამბებს უყვება. ისე, სხვათაშორის, ისიც თქვა, ახალმა მაყურებლებმა ისევ ბარიგების კამერაში დამაბრუნესო.

ვერსიანიუსი

# შსს-ს არქივმა კრებულის და ფილმის პრეზენტაცია გურიის რეგიონში გამართა




შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისა და მედიასახლ guriaNEWS-ის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს გასაბჭოების დღესთან დაკავშირებით, ჩოხატაურში, კინოთეატრ „გურიაში“ გაიმართა ღონისძიება — „აღადგინე ისტორია არქივთან ერთად“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი ნუკრი გელაშვილი, შსს-ს არქივის დირექტორი ომარ თუშურაშვილი, გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი გიორგი მდინარაძე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თეონა აქუბარდია, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები და ჟურნალისტები.

დამსწრეებს შსს-ს არქივის წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ვინ მოკლა ილია...“ წარუდგინეს, რომლის ჩვენებაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პერმანენტულად მიმდინარეობს.

ასევე გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით მომზადებული წიგნის „არქივის კვალდაკვალ — ჩოხატაური“ პრეზენტაცია. კრებულში აღწერილია საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდგომი პერიოდი: როგორ მზადდებოდა 1924 წლის აჯანყება, როგორ ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიებს და რა მეთოდებით აწარმოებდა ანტირელიგიურ კამპანიას. წიგნში აგრეთვე წარმოდგენილია დახვრეტილთა სიები, „სამეულთა“ სხდომების ოქმები და გურულ რევოლუციონერთა მოგონებები. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების სამსჯავროზე პირველად იყო გამოტანილი ქართველი ბოლშევიკის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, მიხეილ კახიანის მოხსენება გურულების განათლებასა და პოლიტიკურ აქტივობაზე. ამას გარდა, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო საარქივო დოკუმენტების საფუძველზე მომზადებული თემატური ბანერების ექსპოზიცია.

*„ვერსიანიუსი“*

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1949 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი აბიკო თ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით სოფელ ზედა ეწერში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ვოლტრან მოდ 9“-ის მოდელის პისტოლეტი, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, „ჰაენელი“-ს ფირმის სანადირო თოფი და სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 22 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისთვის. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# „C ჰეპატიტის მკურნალობა სოციალურად დაუცველებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება“

## დავით სერგეენკო ბრალდებებს პასუხობს



თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**C ჰეპატიტი და მასთან ბრძოლის გზები, შრომის უსაფრთხოება, გახარჯული 10,8 მლნ ლარი, მედიკამენტების გაძვირება... ეს ის თემებია, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ბრიფინგზე შეეხო, ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა და არც წამლების გაძვირებისა თუ ქამრების შემოჭერის საკითხებისთვის აუქცევია გვერდი, თუმცა საუბარი C ჰეპატიტის სამკურნალო ახალი პრეპარატის — სოფოსბუვირის საქართველოში შემოტანით და დაავადების პრევენციის გზებით დაიწყო:**

**„საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე განახლებული ინფორმაცია მინდა მოგაწოდოთ C ჰეპატიტის ილუმინაციის პროექტთან დაკავშირებით. უკვე წელი სრულდება, რაც მოლაპარაკებები დავიწყეთ და თუ ადრე იყო მოლაპარაკება კონკრეტული მედიკამენტის, სოფოსბუვირის — სოვალდის ფასდაკლებით შემოტანაზე, შემდეგ ეტაპზე გადაიზარდა ჰეპატიტის ილუმინაციის პროექტში. საბოლოო კონტრაქტს ხელი მოეწერება აპრილში, სადაც მონაწილეობს სამი მხარე — საქართველოს მთავრობა, აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრი და კომპანია „გილეადი“. ჩვენი მიზანია მინიმუმამდე დავიყვანოთ ახალი შემთხვევები. მოგვეცა დამატებითი შესაძლებლობა, შემოვიტანოთ ახალი თაობის კომბინირებული პრეპარატი, რომლის შემადგენლობაშიც არის როგორც სოფოსბუვირი, ასევე ლედიპასვირი, პრეპარატს კი ჰქვია „ჰარვონი“... დავიწყებთ სოფოსბუვირით და შემდგომ ეტაპზე ბევრად გაუმჯობესებული ახალი თაობის პრეპარატის მიცემა შეგვეძლება მოსახლეობისთვის“.**

რაც შეეხება მკურნალობის ხარჯს, მინისტრმა კვლავ არ დააზუსტა, რა ეღირება მკურნალობა, თუმცა დასძინა, რომ პრეპარატი ხელმისაწვდომი იქნება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვისაც კი. ასევე დააკონკრეტა, რომ პრეპარატს, პირველ რიგში, ისინი მიიღებენ, ვისაც გადაუდებელი დახმარება სჭირდება: **„მოხდება პაციენტების სელექცია, ვისაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება, პირველ რიგში, მათ ვუმკურნალებთ, საბოლოოდ კი წამალს ყველა მიიღებს და სხვა არანაირი სხვა ლოგიკა აქ არ მოიაზრება. გვაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე ექიმს წინასწარ შედგენილი აქვს სიები და რა მოტივაციით ადგენენ რიგითობას, არ ვიცით. აუცილებლად მივმართავთ ზომებს“.**

დავით სერგეენკომ ყურადღება C ჰეპატიტის პრევენციაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ, თუ ახალი შემთხვევების რაოდენობა მინიმუმამდე არ დავიდა, ნებისმიერი ნაბიჯი ფუჭი იქნება. მაგალითისთვის კი სტომატოლოგიური კაბინეტების, კოსმეტოლოგიური და ტატუსალონების შემოწმების აუცილებლობა დაასახელა, რადგან შარშანდლამდე სტომატოლოგიური კაბინეტები რეგულაციას არ ექვემდებარებოდა და შესაბამისად, მათი გაკონტროლება რთული იყო. შემოწმების შედეგად 5 დაწესებულება გაუქმდა, სამი გადავიდა სხვა მისამართზე, 4 შემთხვევაში არასამედიცინო დაწესებულება მუშაობდა სტომატოლოგიურად, 14-ს ლიცენზია ჩამოერთვა... მინისტრის თქმით, ეს ფორმალური მონიტორინგი არ ყოფილა, თუმცა არც სადამსჯელო ღონისძიებები განუხორციელებიათ და, სადაც რეალური საფრთხე იყო პაციენტისთვის, ასეთი 24 დაწესებულება დაიხურა. რაც შეეხება კოსმეტოლოგიურ და ტატუსალონებს, სპეციალური კითხვარების საშუალებით მოხდა მდგომარეობის შესწავლა, თუმცა სერგეენკოს თქმით, სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციები იქნება საჭირო, რათა მინიმუმამდე დავიდეს რისკები.

აღსანიშნავია, რომ გარდა ჩამოთვლილი რისკებისა არსებობს სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც — ისეთები როგორიცაა ფალსიფიკაცია, მით უმეტეს, საქართველოს ბაზარი ამ მხრივ ნაკლებად დაცულია და მკურნალობისწინა გამოკვლევა, რომელიც საკმაოდ ძვირი ჯდება და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის ხშირად „ფუფუნებად“ იქცევა ხოლმე. „ვერსიის“ ამ კითხვებზე დავით სერგეენკოს ასეთი პასუხი ჰქონდა: **„უკვე დავასახელე პროექტის მონაწილე მხარეები, საქართველოს მთავრობა, აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრი და თავად სოფოსბუვირის მწარმოებელი კომპანია „გილეადი“, აქედან გამომდინარე ფალსიფიკაციისგან აბსოლუტურად დაზღვეულები ვიქნებით. რაც შეეხება გამოკვლევის ხარჯებს, გეთანხმებით, საკმაოდ ძვირია, ამიტომ ბევრად ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ დიაგნოსტიკა. მოქალაქეებს მიეცემათ ვაუჩერი და იმოქმედებს თანაგადახდის პრინციპი. სოციალურად დაუცველებს სახელმწიფო მეტად დააფინანსებს, სხვა შემთხვევაში ნაკლებად, თუმცა ეს საერთო ჯამში, 4-5-ჯერ შეამცირებს პაციენტისთვის დანახარჯს“.**

ჯანდაცვის მინისტრი შრომის ინსპექციის თემასაც შეეხო, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოებასა და ტრეფიკინგის პრევენციას. **„კონსულტაციები დაგვჭირდა ბიზნესმენებთან, რადგან შეიქმნა განცდა, რომ შრომითი პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბიზნესს დაარტყამდა, მაგრამ ასე არ არის. დაფუძნდა შრომითი ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც საწარმოებს ამ კუთხით გააკონტროლებს“.**

მინისტრმა „ქამრების შემოჭერაზეც“ გაამახვილა ყურადღება და თქვა, რომ არანაირ სოციალურ პროექტზე ეს არ აისახება, არც კადრებისა და ხელფასების შემცირება იგეგმება და მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდება, ხოლო რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მანქანებში გახარჯულ 10,8 მლნ ლარს, მინისტრმა აღნიშნა: **„კვლევის ავტორებმა არ დაიზარეს და გადაიტანეს თანხა სოცდახმარებებსა და პენსიებზე... საწყენია, რომ არ ჩაიხედეს ხარჯვის სტრუქტურაში: გიდასტურებთ, დაიხარჯა 10,8 მლნ ლარი საქართველოს მასშტაბით სასწრაფო დახმარების ავტოპარკის სრული განახლებისთვის. შევიძინეთ 180 მანქანა, ასევე ავტომობილი მაცივარი ვაქცინების გადასატანად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის, რომელშიც 35 ათასი გადავიხადეთ. ასევე შევიძინეთ ტექნიკური მომსახურების სამი მანქანა, რომელიც რაიონული სასწრაფო დახმარების სისტემას ემსახურება; ასე რომ, პერსონალური სამსახურებრივი მანქანა არ შეგვიძენია“.**

მინისტრმა ვერც მედიკამენტების გაძვირებას აუქცია გვერდი და განაცხადა, რომ თუ ფასების ზრდის ტენდენცია გაგრძელდა, არსებობს სამოქმედო გეგმა: პირველი — დოტაცია და მეორე — სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტებზე მოგების ზღვარის დაწესება. სერგეენკომ არც ის დამალა, რომ სასწრაფო დახმარება ხარვეზებით მუშაობს. რეგიონებში ეს სუფთა ტექნიკური ხარვეზი იყო — მანქანების 80 პროცენტი გაუმართავი გახლდათ, მანქანების შეძენის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა; თბილისში კი, ვითარების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ეს მენეჯმენტის პრობლემაა და არა ავტოპარკის და იმედი გამოთქვა, რომ მალე ამ საკითხსაც მოაგვარებენ.



# უნიკალური შეთავაზება „საქართველოს ბანკისგან“ ლარის გაუფასურებით დაზარალებულ მომხმარებელს

„საქართველოს ბანკი“, სავალუტო კრიზისის ფონზე, ლარის გაუფასურებით დაზარალებულ მომხმარებელს ახალ პირობებს სთავაზობს. იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც სესხი დოლარში აქვთ, ხოლო შემოსავალი ლარში და უჭირთ ამ სესხის მომსახურება, „საქართველოს ბანკი“ სესხის ვადას გაუგრძელებს. მათ შესაძლებლობა ექნებათ, სესხი გადაიხადონ იმ მოცულობის ლარით, რომლითაც დევალვაციამდე იხდიდნენ. ეს სასიამოვნო სიახლე, ჟურნალისტებს, ბანკის სათავო ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა აუწყა.

გაირკვა ისიც, რომ ვადის გასაზრდელად ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად არ არის საჭირო კლიენტის ისტორიის თავიდან შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების მოძიება. უბრალოდ, 2 მარტიდან, „საქართველოს ბანკის“ მომხმარებლებმა, რომლებსაც სესხის ვადის გაზრდა სურთ, უნდა მიაკითხონ ბანკის ნებისმიერ ფილიალს. მათ ვადას მომენტალურად გაუზრდიან. მთავარი მოთხოვნა კი ის იქნება, რომ კლიენტს კარგი საკრედიტო ისტორია ჰქონდეს. თუმცა, „საქართველოს ბანკი“ ინდივიდუალურად განიხილავს პრობლემურ კლიენტთა საკითხსაც.

**„ეს კეთდება იმისთვის, რომ მომხმარებელს ყოველთვიური გადასახადი, რომელიც ლარის დევალვაციამდე ჰქონდა არ გაეზარდოს. ამასთანავე, კრედიტის ვადის გაზრდისას არ შეიცვლება საპროცენტო განაკვეთი. ვფიქრობთ, ამ ახალი შეთავაზებით, მომხმარებელს მოვუხსნით იმ წნეხს, რომელიც ლარის გაუფასურების გამო შეექმნა“,** — განაცხადა „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი გილაურმა.**

„საქართველოს ბანკს“ მთლიანობაში 450 ათასი მსესხებელი ფიზიკური პირი ჰყავს, აქედან დოლარში სესხი მსესხებელთა მხოლოდ 6% აქვს. გილაურის ინფორმაციით, „საქართველოს ბანკს“ სესხი ძირითადად ეროვნულ ვალუტაში აქვს გაცემული.

„საქართველოს ბანკში“ აცხადებენ, რომ ბოლო რამდენიმეთვიანი დევალვაციის გამო პრობლემური სესხების მაჩვენებელი არ გაზრდილა და მომხმარებელი ვალდებულებებს განსაზღვრული რეჟიმით ფარავს.




**ირაკლი გილაური: „სესხის გადახდისას ვადის გადაცილების ტენდენცია არ აღინიშნება. გვინდა, დავეხმაროთ მომხმარებელს. გვესმის, რომ მათ ყოველთვიური გადასახადი ლარში გაეზარდათ. მომხმარებელს, რომელსაც ვადის გაზრდის სურვილი აქვს მივიდეს ბანკში და საკრედიტო ოფიცრები იმავე დღეს მოაწერენ ახალ ხელშეკრულებას ხელს. ამ პროცესით ჩვენი მომხმარებელი არ შეწუხდება“.**

გილაურისვე განმარტებით, ლარის გაუფასურებას გადაჭარბებულმა აჟიოტაჟმაც შეუწყო ხელი და ამ დროიდან ლარის გამყარების შანსები გაცილებით დიდია. მისი პროგნოზი ასეთია: ლარის კურსი დასტაბილურდება და გამყარების მიმართულებით წავა: **„2 დღის წინ ლარის დევალვაცია „ჭერამდე“ მივიდა და ეროვნულმა ვალუტამ გამყარება დაიწყო. შესაბამისად ჩვენ ვფიქრობთ, რომ სტატისტიკურად, გამყარების მეტი შანსია, ვიდრე გაუფასურების. ამასთანვე, საქართველოში ინფლაცია დაბალია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. მართალია საქართველოს მოსახლეობა ელის ფასების გაზრდას, მაგრამ ჩვენი აზრით მკვეთრი ზრდა არ მოხდება, ვინაიდან ნავთობის ფასი შემცირებულია და ფასთწარმოქმნაში ამ პროდუქტს საკმაოდ დიდი წილი უკავია“.**

*ნინო ლურსმანაშვილი*

# 2014 — კატასტროფული წელი — Amnesty International-ის სკანდალური ანგარიში

არასამთავრობო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მთავრობები მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას ვერ ახერხებენ.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს არ შეუძლიათ, დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა სხვა სახელმწიფოების ძალადობისა და შეიარაღებული დაჯგუფებების თავდასხმებისგან — ასეთია არასამთავრობო ორგანიზაცია Amnesty International-ის შეფასება. ცნობილმა „ენჯეომ“ ყოველწლიური ანგარიში წარმოადგინა, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვისა

## შეიარაღებული კონფლიქტები

ანგარიშის თანახმად, 2014 წელს, ადამიანებზე შეიარაღებული დაჯგუფებების ძალადობა და თავდასხმები 160 გამოკითხული ქვეყნიდან, მინიმუმ 35 ქვეყანაში დაფიქსირდა. არასამთავრობო ყველაზე მეტად ყურადღებას „ისლამური სახელმწიფოს აღზევებაზე“ ამახვილებს. ანგარიშის ავტორების თქმით, ისლამისტებმა ჩაიდინეს უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის მასობრივი მკვლელობა და რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების გატაცება. ასევე, დაქირავებულმა მებრძოლებმა დახოცეს ბევრი სუიტი, რომლებიც, ექსტრემისტების აზრით, მათ წინააღმდეგ გამოდიან. ასობით ქალი და გოგონა გახდა მათი მსხვერ-



და უსაფრთხოების თვალსაზრისით, 2014 „კატასტროფულ წლად“ დაასახელა მსოფლიოს მილიონობით ადამიანისთვის. **„სამწუხაროდ, იმ დროს, როცა ადამიანები იტანჯებოდნენ შეიარაღებული თავდასხმების რაოდენობის ზრდისა და რეპრესიების გამო, საერთაშორისო საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა“,** — ნათქვამია ორგანიზაციის გენერალური მდივნის, სალინ შეტის განცხადებაში.

## დევნილთა კრიზისი

ანგარიშის თანახმად, შარშან მსოფლიოში, სირიიდან უკრაინამდე და ღაზას სექტორიდან ნიგერიამდე, მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, იძულებით გადაადგილებულთა რიცხვმა კი, პლანეტის მასშტაბით 50 მილიონს გადააჭარბა — პირველად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

არასამთავრობოებმა შეაფასეს ევროკავშირის დამოკიდებულებაც, სირიიდან 4 მილიონი დევნილის მიმართ. როგორც ირკვევა, 2014 წელს, მხოლოდ 150 ათასი სირიელი დევნილი ცხოვრობდა ევროკავშირის ქვეყნებში, 3 400 დევნილი და მიგრანტი კი, ხმელთაშუა ზღვაში, ევროპამდე მიღწევის მცდელობისას, ტრაგიკულად დაიღუპა. **„აუტანელია, უყურო განვითარებული ქვეყნების მისწრაფებას, არ დაუშვან თავის ტერიტორიებზე ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობენ“,** — აცხადებს სალილ შეტი. „ამნესტიმ“ განსაკუთრებით გააკრიტიკა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭო. შეტიმ განაცხადა, რომ ეს საბჭო უსუსური აღმოჩნდა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაში.

## გაერო-ს უშიშროების საბჭო

უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრი — დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი, აშშ და საფრანგეთი — „მუდმივად ბოროტად იყენებდნენ“ თავის ვეტოს უფლებას, რათა **„გაეტარებინათ თავისი პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებზე მაღლა აყენებენ“,** — აცხადებს შეტი.

„ამნესტის“ ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსული ვეტოს საფრთხემ, უშიშროების საბჭო დატოვა შესაძლებლობის გარეშე, გადაედგა რაიმე კონკრეტული ნაბიჯები უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

„ამნესტიმ“ მოუწოდა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივ წევრს, უარი თქვან ვეტოს უფლებაზე, როცა საქმე ეხება გენოციდსა და მასობრივ მკვლელობებს.

პლი — ისინი გააუპატიურეს. დიდი რაოდენობით იარაღი შევიდა შარშან ერაყში, ისრაელში, სამხრეთ სუდანსა და სირიაში. სავარაუდოდ, ისინი გამოიყენეს სწორედ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ანგარიშის ავტორები ასევე ამახვილებენ ყურადღებას რიგი მთავრობების რეაქციაზე, მათ შორის კენიისა და პაკისტანის მუქარაზე, რომლის ფარგლებშიც, ისინი „დრაკონულ და რეპრესიულ“ ტაქტიკას იყენებენ.

## მოქმედებისკენ მოწოდება

შეტის თქმით, მსოფლიო ლიდერებს შეუძლიათ „მილიონობით ადამიანს შეუმსუბუქონ ტანჯვა“, თუ გამოიყოფა ამისთვის საკმარისი პოლიტიკური და ფინანსური რესურსი. ადამიანის უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების **„გლობალური პერსპექტივა სიმშვიდის საფუძველს არ იძლევა, მაგრამ მისი შეცვლა შეგვიძლია. მსოფლიო ლიდერებმა სასწრაფოდ უნდა იმოქმედონ, რათა თავიდან აირიდონ მოახლოებული გლობალური კრიზისი“.**




# ორნელა მუტის პუტინთან ვახშამი 30 ათასი ევრო დაუჯდა

იტალიური პრესა ორნელა მუტის სურათებითაა აჭრელებული — მსახიობი მედიის ყურადღების ცენტრში ამჯერად სასამართლო პროცესის გამო მოექცა. 59-წლის მსახიობს, 8 თვე გისოსებსმიღმა მოუწევდა გატარება, რომ არა შეთანხმება, რომელიც გაცილებით ძვირი დაუჯდა.

„ორნელა მუტის სკანდალის“ მთავარი გმირი, არც მეტი — არც ნაკლები, რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი და მის გარემოცვაში გატარებული ერთი საღამოა — 2010 წლის 10 დეკემბერს, იტალიელი მსახიობი რუსეთში საქველმოქმედო ვახშამს დაესწრო. ამ ამბით დღეს არავინ დაინტერესდებოდა, რომ არა ერთი ფაქტი — ორნელა მუტიმ იმ დღეს, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ პორდენონის, ჯუზეპე ვერდის სახელობის თეატრში სპექტაკლი გააცდინა. არგამოცხადების რეალური მიზეზი დამალა და მოიტყუა, შეუძლოდ გავხდიო. ორნელა მუტიმ, ავადმყოფობის დამადასტურებლად, სამედიცინო ცნობაც წარადგინა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ყალბი იყო. თეატრისგან მუტიმ გაცდენის მიუხედავად, სპექტაკლის დღეს, მაინც მიიღო 25 ათასი ევროს მოცულობის ჰონორარი. მოგვიანებით, გაირკვა, რომ იგი იმ დღეს რუსეთში იყო, რის გამოც თეატრის ხელმძღვანელობამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

სასამართლომ მსახიობს 8 თვე პატიმრობა და 600-ევროიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა, მაგრამ როგორც იტალიური სააგენტო „ანსა“ იუწყება, საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ და სასამართლომ მუტის ნება დართო, ციხეში ჩაჯდომის ნაცვლად, თეატრს ზარალი 30 ათასი ევროთი აუნაზღაუროს.

საქვეყნოდ ცნობილი ფილმის „ჭირვეულის მორჯულება“ მთავარი როლის შემსრულებელი, 2010 წლის 10 დეკემბერს, სანკტ-პეტერბურგში, ფონდ „ფედერაციის“ საქველმოქმედო ღონისძიებას ესწრებოდა. მუტის გარდა ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ შერონ სტოუნი, კევინ კოსტნერი, მონიკა ბელუჩი, კურტ რასელი, ალენ დელონი, მიკი რურკი... ვახშამს ასევე ესწრებოდა რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი. საღამოს თვალს ადევნებდა გამოცემა „ოჯის“ ჟურნალისტი რაფაელა კანიაცცო.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ფონდი „ფედერაცია“, რომელმაც მოაწყო ბავშვთა ონკოლოგიური და ოფთალმოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი ვახშამი, საქველმოქმედო ფონდების არცერთ ჩამონათვალში არ იძებნება. ფონდის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სანკტ-პეტერბურგში კონცერტის დროს, საერთოდ არ აუკრებიათ ფული და მათ, მხოლოდ შესაბამისი პროფილის, სხვადასხვა კლინიკის მიზნობრივ დახმარებებზე ისაუბრეს.

გაირკვა ისიც, რომ ამ საღამოს შემდეგ, ორნელა მუტის ვარსკვლავური ცხოვრება რუსეთშიც დაიწყო. 2011 წელს, იგი გახდა ყაზახეთის საერთაშორისო მუსულმანური კინოს ფესტივალის საპატიო სტუმარი, მიიწვიეს არაერთ ელიტურ დახურულ შეხვედრაზეც, სადაც ჟურნალისტებს შესვლა ეკრძალებათ.

2008 წელს ორნელა მუტიმ შექმნა თავისი საიუველირო ხაზი, გახსნა „ბუტიკები“ რომში, მილანში, პარიზში, რიგაში, ალმა-ათასა და რა თქმა უნდა, მოსკოვში. ამბობენ, ძირითადად, ვერცხლითა და ცირკონებით შესრულებული სამკაულები კარგად იყიდება. კოლექციის „მარგალიტად“ კი ითვლება სამაჯური, რომელიც, ჟურნალისტების ინფორმაციით, სპეციალურად რუსეთისთვის შეიქმნა, ძალიან ჰგავს ხელბორკილს და მასზე რომანტიკული წარწერაცაა დატანებული: „გამიშვი, თუ გიყვარვარ!“.

# სააკაშვილი: „უკრაინა — ეს არის დღევანდელი დასავლეთ ბერლინი“

„ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში საქართველოს ექსპრეზიდენტი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია, კიევს მოუჭრა ნატო-ში შესვლის გზა.

მან აშშ-ს მოუწოდა, მიაწოდოს იარაღი უკრაინას და არ გამორიცხოს შესაძლებლობა, ეს ქვეყანა ნატო-ს წევრი გახდეს. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება კი „ცივი ომის“ დროს დასავლეთ ევროპის კრიზისს შეადარა.

ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ დაინიშნა უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლად, ასევე აცხადებს — „დასავლეთი უნდა დამეთანხმოს, რომ უკრაინა — ეს არის დღევანდელი დასავლეთ ბერლინი — ფრონტის ხაზი, სადაც ხდება დასავლური ღირებულებების დაცვა რუსული რევანშიზმისგან“.

„უკრაინის დანგრევით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ცდილობს, ძირი გამოუთხაროს ტრანსატლანტიკური ალიანსის ღირებულებებს. ევროპის მომავალი დღეს არანაკლებ რისკის ქვეშაა, ვიდრე იყო რამდენიმე ათწლეულის წინ გერმანიაში“, — აღნიშნავს სააკაშვილი.

სააკაშვილისვე განცხადებით, დასავლეთმა რუსული სამხედრო მოქმედებების შესაწყვეტად, „უნდა მისცეს უკრაინას თავდაცვითი შეიარაღება, განსაკუთრებით ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს რუსული ტანკებისა და ჯავშანტექნიკის მომდევნო თავდასხმა“.

„უკრაინას არ შეუძლია იყოს ნატო-ს წევრი, მაგრამ შესაძლებელია ხელი შევუწყოთ ორმხრივი ან სამმხრივი რეგიონული ალიანსის შექმნას, რომელიც იმუშავებს ნატოსთან და აშშ-სთან ერთად რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებაზე“, — წერს სააკაშვილი და იმასაც ამა-



ტებს, რომ უკრაინის ნატო-ს სრულფასოვანი წევრობა, დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში არ უნდა გამოირიცხოს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ასევე მიიჩნევს, რომ უკრაინა უნდა გახდეს ეკონომიკური ზრდისა და დემოკრატიული რეფორმების წარმატებული მაგალითი — „ისევე, როგორც დასავლეთ ბერლინი გახდა შუქურა აღმოსავლეთ ბერლინის მოსახლეობისთვის“.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | 8 | | | 6 | | | |
| | 3 | | | | 1 | | | |
| 5 | | 4 | 3 | | 8 | | | |
| | 1 | | | 4 | | 8 | 7 | |
| | 5 | | | | | | 1 | |
| | 7 | 2 | | 8 | | | 5 | |
| | | | 5 | | 3 | 6 | | 1 |
| | | | 9 | | | | 2 | |
| | | | 8 | | | 7 | 3 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 3 | | | 9 | | 7 |
| | | | | 7 | | | 1 | |
| | | | | | | 5 | | |
| 5 | | 9 | | 1 | | | | |
| | 2 | 8 | 9 | | 5 | 7 | 4 | |
| | | | | 3 | | 2 | | 9 |
| | | 6 | | | | | | |
| | 1 | | | 9 | | | | |
| 8 | | 7 | | | 1 | | 2 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 8 | 7 | 2 | | |
| 8 | | 6 | | 2 | | 3 | | |
| | | 2 | | | 9 | | | 4 |
| | 1 | | | | 6 | | | 7 |
| | | | | 7 | | | | |
| 2 | | | 1 | | | | 4 | |
| 5 | | | 9 | | | 4 | | |
| | | 1 | | 5 | | 6 | | 8 |
| | | 9 | 2 | 4 | | | | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 7 | | | | 5 | |
| | | | | 5 | 2 | | 9 | |
| | 9 | 5 | | | | | 3 | |
| | | | 6 | | | 9 | 7 | |
| | | 9 | | 2 | | 4 | | |
| | 6 | 4 | | | 7 | | | |
| | 5 | | | | | 7 | 6 | |
| | 2 | | 4 | 8 | | | | |
| | 1 | | | | 5 | | | 3 |

# ყველაზე საშიში ადგილები მსოფლიოში

ერთ-ერთმა ინტერნეტპორტალმა პლანეტაზე არსებული ყველაზე საშიში ადგილების ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამ რეგიონებში ექსტრიმის მოყვარულთაგან ყველაზე თავგამოდებულ ავანტიურისტებსაც კი არ ურჩევენ მოგზაურობას. რეიტინგში პირველი ადგილი კუნძულ პამრის მიაკუთვნეს — ის აზიაში, ბირმის ნაპირების სიახლოვეს მდებარეობს. მსოფლიოში ყველაზე საშიშ ადგილზე ყველგან ჭაობებია, თანაც შენიღბული და იქაურობა კაციჭამია ნიანგებით არის სავსე... სიის მეორე ადგილზე „სიკვდილის გზა“ მოხვდა, რომელიც სამხრეთ ამერიკაში, ბოლივიაში მდებარეობს. ყოველწლიურად ამ ადგილებში 200-300 ადამიანი მაინც კვდება. ძალიან ვიწრო გზაზე ერთი მანქანისთვისაც კი არ არის ადგილი. 1930 წელს, როცა ეს გზა გაიყვანეს, ფიქრობდნენ, რომ ბუნების სილამაზე ტურისტებს მიიზიდავდა, ასეც არის, ამ ადგილებს ბევრი მოგზაური სტუმრობს, თუმცა, აქ გავლა ძალიან საშიშია — ან გადარჩები, ან გადაიჩეხები. მესამე „საპატიო“ საფეხურზე აშშ-ში, ლუიზიანას შტატში მდებარე მანჩაკის ჭაობია. ის 1915 წელს, საშინელი ქარიშხლის შემდეგ წარმოიქმნა. ბევრ ადგილობრივს სჯერა, რომ მის გაჩენაში ვუდუს ჯადოქრების ხელი ურევია. ჭაობის გარშემო ისეთი კოშმარული ხმები ისმის, რომ ადამიანს ძარღვებში სისხლი გაეყინება. მეოთხე ადგილი დაიკავა აფრიკაში, ეთიოპიის ჩრდილოეთით მდებარე უდაბნო დანაკილმა — ეს მართლაც ძალიან საშიში ადგილია და უწოდებენ „ჯოჯოხეთს დედამიწაზე“ — 50-გრადუსიანი სიცხე, თითქმის გამდნარი ქვები ფეხქვეშ და გავარვარებული ქვიშით სავსე ორმოები... პლანეტის ყველაზე საშიში ადგილების ტოპ-ხუთეულს თურქმენეთში მდებარე უზარმაზარი, გიგანტური გაზის კრატერი ასრულებს. აქაურები მას „ჯოჯოხეთის კარიბჭეს“ უწოდებენ. კრატერი ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის მავნე აირებს გამოყოფს. ერთხელ გეოლოგებმა სცადეს მისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ და ამგვარად გაენეიტრალებინათ, მაგრამ შეცდომა დაუშვეს. მცდელობისას რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, კრატერი კი დღემდე ბოლავს და წამლავს იქაურობას.







# კიბოს უჯრედებს სამაჯური აღმოაჩენს

„გუგლის“ ლაბორატორიამ რამდენიმე გასაიდუმლოებული პროექტი გაამხილა, რომელზეც მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანი „ჭკვიანი სამაჯურია“, რომელსაც ონკოლოგიური დაავადების პირველ სტადიაზე აღმოჩენა შეუძლია. აღსანიშნავია, რომ კომპანიის ლაბორატორიაში, რომელიც უკვე სამ წელზე მეტია ფუნქციონირებს, ასზე მეტი ექიმი და მეცნიერი მუშაობს. როგორც სწავლულები ამბობენ, სამაჯურს კიბოს დიაგნოტირებისთვის სისხლის ანალიზი არ დასჭირდება. სიმსივნური უჯრედების აღმოსაჩენად პაციენტს მხოლოდ სპეციალური აბის მიღება მოუწევს, რომელიც განსაკუთრებულ ნანონაწილაკებს შეიცავს. სწორედ ეს ნაწილაკები შეძლებენ, ადამიანის ორგანიზმში დაავადებული უჯრედების აღმოჩენას, რომელსაც მიეკრობიან და გაანათებენ — ასე მათი დაფიქსირება უფრო ადვილად მოხდება. სამაჯური, ძლიერი მაგნიტის მეშვეობით, ამ ნანონაწილაკებს აგროვებს და მათ რაოდენობას სპეციალური ოპტიკური სენსორების მეშვეობით დაითვლის. მარტივად რომ ვთქვათ, სპეციალისტები ადამიანის სისხლში უშვებენ აგენტებს, რომელბსაც კიბოს უჯრედების პოვნა ევალებათ. ეს აგენტები შემდეგ „ანგარიშს აბარებენ“ „ჭკვიან სამაჯურს“.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 1 | 7 | 2 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 7 | 9 | 6 | 3 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 |
| 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 8 | 1 | 7 | 5 | 6 | 3 | 4 | 9 |
| 3 | 5 | 4 | 6 | 7 | 2 | 9 | 1 | 8 |
| 1 | 7 | 2 | 8 | 3 | 9 | 6 | 5 | 4 |
| 8 | 6 | 9 | 5 | 1 | 4 | 7 | 3 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 |
| 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 2 | 9 | 3 |
| 4 | 6 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 |
| 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 3 | 1 | 4 | 6 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 |
| 9 | 3 | 7 | 1 | 6 | 8 | 4 | 5 | 2 |
| 1 | 8 | 2 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 5 | 2 | 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 4 | 6 | 8 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 8 | 5 | 9 | 4 | 6 | 2 | 1 | 7 |
| 6 | 4 | 7 | 2 | 5 | 1 | 3 | 8 | 9 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 8 | 3 | 6 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 9 | 6 | 3 | 7 | 1 | 2 | 8 | 4 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 2 | 7 | 9 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 8 | 1 | 6 | 7 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 7 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 1 | 2 | 3 | 5 | 7 | 9 | 6 | 8 | 4 |
| 6 | 5 | 8 | 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 7 |
| 9 | 6 | 7 | 2 | 4 | 8 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 8 | 2 | 1 | 3 | 7 | 4 | 6 | 9 |
| 3 | 4 | 1 | 6 | 9 | 5 | 7 | 2 | 8 |

მე-12 გვერდი: 1. არტალა; 2. რაქიტი; 3. ავენიუ; 4. ორდერი; 5. რემბო; 6. ელენე; 7. ოქტეტი; 8. ოკულარი; 9. „იდიოტი“; 10. ომლეტი; 11. ლუტეცია; 12. რეისი; 13. წიწილა; 14. „ბოლერო“; 15. სიქა; 16. ოდიში; 17. კიკუ; 18. არისა; 19. მასაჩუსეტსი; 20. იდალგო; 21. მაიდანეკი; 22. სულხან-საბა ორბელიანი; 23. ჩოხა; 24. აზები; 25. ეისი; 26. იარა; 27. კალორია; 28. ენციკლოპედია; 29. ეგიდა; 30. ლეი; 31. მკათათვე; 32. დესერტი; 33. იატაგანი; 34. დიქცია; 35. ბიშკეკი; 36. კერა; 37. სუ; 38. აიაზმა; 39. ზეგ; 40. ჰესიოდე; 41. პეშტი; 42. ორატორი; 43. არვე; 44. ნანი; 45. სირი; 46. ვინიპეგი; 47. ბარმალეი; 48. ატილა; 49. კრაკოვი; 50. სუთი; 51. ორბი; 52. ილი; 53. ალიანსი; 54. ოტარიდი; 55. რვალი; 56. თარი; 57. აბორტი; 58. ატოლი; 59. ვებერი; 60. ბრაილი; 61. ეპოლეტი; 62. ინო; 63. ია; 64. რიანა; 65. აპო; 66. ოტელი; 67. ვერე; 68. ბუმერი; 69. რეტი; 70. ტიალი; 71. ჰაე; 72. „აიდა“; 73. იდენი; 74. ტირე; 75. ალი; 76. რური; 77. სადილი; 78. სინი; 79. ნიონი; 80. კარამელი; 81. კიი; 82. ინია; 83. პიექსი.

# „კოლა“ კარტოფილისგან



ცოტა ხნის წინ ბელორუსში „პახმელიის“ საწინააღმდეგო „კოლა“ ჩამოასხეს კარტოფილისგან. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სასმელი ქვეყნის ქიმიურ-ტექნოლოგიური ცენტრის სწავლულებმა შექმნეს მხოლოდ ნატურალური პროდუქტებისგან. ავტორები აღნიშნავენ, რომ მისი მეშვეობით ნაბახუსევს ადვილად შეებრძოლებიან. გაზიან სასმელს „მიკოლა“ უწოდეს და მას პურის ბურახის გემო აქვს. ამჟამად მეცნიერები მზად არიან, მარკეტოლოგებს სამი სახის „კოლა“ შესთავაზონ: კლასიკური, „პახმელიის“ საწინააღმდეგო და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით. სწავლულები ვარაუდობენ, რომ მათი შექმნილი სასმელი დახლებზე ძალიან მალე გამოჩნდება.

# ლუდის ექვსი სასარგებლო თვისება

**თუ თქვენ ახალ წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ისევ ჯანსაღად იკვებებით, აშკარად გაგიხარდებათ, რომ ლუდი გასაოცარ დადებით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, ამიტომ ისიამოვნეთ მწვანე ლუდით, რადგან შესაძლოა, ის სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენთვის! თუმცა ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ზომიერად მიირთვათ სასმელი და უზრუნველყოთ, რომ საღამოს, უსაფრთხოდ შინ მისაყვანად, გამცილებელიც გყავდეთ.**



## 1. ლუდი ამცირებს გულის დაავადებათა რისკს

ცნობილია, რომ ალკოჰოლის ყველა სახეობა, მათ შორის ლუდი, ღვინო, თუ ლიქიორი ამცირებს გულის დაავადებების რისკს. 2008 წელს, ამერიკის დიაბეტის ასოციაციის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება სისხლს ათხელებს და ამდენად, მისი შედედების უნარი მცირდება. ალკოჰოლს ასევე შეუძლია კარგი ქოლესტერინის ზრდა და ცუდი ქოლესტერინის შემცველობის შემცირება სისხლში ისევე, როგორც სისხლის წნევის შემცირება. 7 000 ქალზე ჩატარებულმა ჰარვარდის კვლევამ აჩვენა, რომ მათ, ვინც ლუდს სვამდა, ჰქონდათ შედარებით დაბალი წნევა, ვიდრე ღვინის მომხმარებლებს.

## 2. ლუდი დადებით გავლენას ახდენს თირკმელებზე

მიიჩნევა, რომ ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს თირკმელებზე, მაგრამ რეალურად, ლუდს ამ მიმართულებით, დახმარების აღმოჩენა შეუძლია. ADA Times-ის 2011 წლის გამოცემის თანახმად, ფაქტობრივად, ლუდს შეუძლია თირკმელში კენჭების რისკის ფორმირების შემცირება. სვია არა მარტო ამცირებს ძვლებიდან კალციუმის გამოდევნას (კალციუმის ზედმეტ ოდენობას შეუძლია თირკმელში კენჭების ფორმირების გამოწვევა), არამედ წყლის დიდი შემცველობის გამო, თირკმლების გამორეცხვას უზრუნველყოფს.

## 3. ლუდი სავსეა საკვები ნივთიერებებით

ლუდი ბევრი საკვები ნივთიერების გასაოცარი წყაროა. ლუდის ერთი, 12-უნციიანი კათხა, 1 გრამ ბოჭკოს შეიცავს. ის ასევე შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს, მაგალითად, ნიაცინს, პანტოთენის მჟავას, ფოლიუმის მჟავას, რიბოფლავინს, B6 და B12 ვიტამინებს.

## 4. ლუდი ამცირებს დიაბეტის რისკს

2011 წელს ჰარვარდში ჩატარდა 38,000 შუახნის ასაკის მამაკაცის კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ როდესაც ისინი ლუდის მოხმარებას დღეში ორ კათხამდე ზრდიდნენ, მე–2 ტიპის დიაბეტის განვითარების რისკი 25 პროცენტით მცირდებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ორ კათხაზე მეტის მიღების შემთხვევაში სასარგებლო გავლენა არ ყოფილა დაფიქსირებული.

## 5. ლუდი ამცირებს სიმსივნის რისკს

პორტუგალიური კვლევის თანახმად, ხორცის მოთავსებით ლუდის მარინადში, შესაძლებელია, ხორციდან კანცეროგენების 70%-ის გამოდევნა. შესაძლოა, ეს არ ვრცელდებოდეს ლუდის სმაზე, მაგრამ ვის არ უყვარს კარგი ლუდის მარინადი? თუ თქვენ მას უბრალოდ მიირთმევთ, ის შეიცავს სასარგებლო ანტიოქსიდანტების საკმაო რაოდენობას, რასაც შეუძლია თქვენი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

## 6. ლუდი აუმჯობესებს ტვინის ჯანმრთელობას

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ლუდის მცირე მოხმარებას დღეში, ასევე შეუძლია ალცჰეიმერის დაავადების შეჩერება და ინსულტის რისკის შემცირება. 2005 წელს კვლევა ჩატარდა 11 000 მოხუც ქალზე და აღმოჩნდა, რომ ისინი, რომლებიც ერთ კათხა ლუდს სვამდნენ, უკეთესი გონებრივი ფუნქციით გამოირჩეოდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც არ სვამდნენ.. ფაქტობრივად, გონებრივი ფუნქციის დაქვეითების რისკი 20%-ით მცირდებოდა. ჰარვარდის სკოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ დღეში ლუდის მცირე ოდენობით მოხმარება, ინსულტის რისკს ამცირებს სისხლის გათხელებითა და შედედებული სისხლის ტვინისკენ გადაადგილების პრევენციით.

## გართობა



1. დეკორატიული ყვავილი
2. მომღერ. გუნდის ხელმძღვანელი
3. იგივეა, რაც მართლწერა
4. მტაცებელი ფრინველი
5. ფუტკრის წებო
6. ბრილიანტის „წინაპარი“
7. მსუბუქი ოთხადგილიანი ეტლი
8. უნგრული სადესერტო ღვინო
9. ძუძუმწოვრების ჩანასახოვანი გარსი
10. ორმარცვლ. მუხლი ანტიკურ ლექსში
11. შხამიანი გომბეშო
12. ბიბლიური მოსეს ძმა
13. ჭია ნაწლავის ანთება
14. მეჩეთის კოშკი
15. საერთაშორისო ხელშეკრულება
16. ოთახის დეკორატ. მცენარე
17. იგივეა, რაც მომთაბარეობა
18. ადამიანის ფიგურა ტანსაცმლის საჩვენებლად
19. მუსიკალ. გამის VII ნოტი
20. მიუნჰაუზენის ლიტერატ. მამა
21. სკანდინავიური თქმულება
22. მათემატიკური მრავალწევრი
23. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ...
24. ქიმიური ელემენტი
25. ქალთევზას სახელი ამერიკულ მულტფ.
26. იგივეა, რაც ალლო
27. უმცირესი შვიდნიშნა რიცხვი
28. ტირიფის ერთ-ერთი სახეობა
29. დღის წინა დღეს ანუ ...
30. ქალის საზაფხულო კაბა
31. მრუდი ხაზის 2 წერტ. შემაერთებელი ხაზი
32. მყვინთავი ქალი იაპონიაში
33. სიგრძის საზღვაო ერთეული
34. ბევრი და უაზრო ლაპარაკის მოყვარული
35. სპორტული ნაწარმის ფირმა
36. ქართული სპორტული გაზეთი
37. თანამდებობათა თანმიმდევრობა
38. პარაზიტი მწერი, მკბენარი
39. მდინარე სამხრეთ რუსეთში
40. რუსეთის ვალუტა
41. ნოტიო ფქვილი
42. ათენის საფეხბურთო კლუბი
43. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
44. სტატისტიკური აღწერა
45. არაბული ფლეიტა
46. ვირის გასარეკი შეძახილი
47. ხუთი წერტილი კამათელზე
48. პატარა აკლდამა ძველ ეგვიპტეში
49. ზღვრული ნორმა
50. ნორვეგიელი კომპოზიტორი
51. მხატვარ მოდილიანის სახელი
52. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიის ალპებში
53. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
54. ამერიკელთა მეტსახელი
55. საკაზმი მწვანილი
56. ბასკების ხალხური ბურთაობა
57. მუსლიმანთა მღვდელი
58. სასტრადო წარმოდგენა, რომელიც შედგენილია ცალკეული ნომრებისაგან
59. ველური კომში
60. დიდი ფრანგი მათემატიკოსი
61. ბანგლადეშის დედაქალაქი
62. მათემატიკური მუდმივა
63. შემდგომში გადასახდელი დანახარჯი
64. სპილბერგის ოსკაროსანი ფილმი „შინდლერის ...“

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.